# საერთო გაზეთი

№4 (643)
ოთხშაბათი
2 თებერვალი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.

## გალობანი სინანულისანი, ანუ ფიქრები მწუხრის ჟამს



ბიძინა ივანიშვილმა 2012 წელს იგივე ისტორიული როლი შეასრულა საქართველოს ცხოვრებაში, რაც ზვიად გამსახურდიამ.

ირაკლი ღარიბაშვილი: ჩემი უფროსი რომელიმე ევროპარლამენტარი კი არა, ქართველი ხალხია!



**დამოუკიდებლობა მარადიული, უწყვეტი პროცესია, რომლისთვისაც ყოველდღე უნდა იბრძოლო და რომელიც ყოველდღე უნდა მოიპოვო!**



**რამაზ საყვარელიძე:** შეიძლება სააკაშვილი უკრაინიდან რაღაც საშიშ ძალებს გამოექცა და საქართველოს ხელისუფლებას შეგნებულად ჩაბარდა, რომ **თავი გადაერჩინა**

**იგორ კვესელავა:** რუსებსა და უკრაინელებს შორის ომის პროვოცირებას ის ძალები ცდილობენ, რომლებსაც ძალიან გაუხარდებათ, თუ სლავები ერთმანეთს დახოცავენ



## აკაკი ბაქრაძის წინააღმდეგ
დასასრული

## ჰიპნოზის მისტიკური სამყარო

## ყველაზე საშინელი ტრადიციები

## მთავარი მოწმე




**პეტრე მამრაძე:** ედუარდ შევარდნაძემ მითხრა - ეს ახალგაზრდები კი მოვლენ ხელისუფლებაში, მაგრამ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს დაკარგავენო





**სოსო მანჯავიძე:** გეოპოლიტიკური ვეფხვები ნახტომისთვის ემზადებიან

## ბაკურიანის ტყისა და ივრის ქალების საიდუმლო



**„საერთო გაზეთი" – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის**



# გალობანი სინანულისანი, ანუ ფიქრები მწუხრის ჟამს

ვახტანგ ხარჩილავა:

ისე, როგორც ადამიანმა, ქვეყანამაც ხანდახან უნდა მოიხედოს უკან და მის მიერ გამოვლილ გზას თვალი უნდა გადაავლოს — რაიმე შეცდომა ხომ არ დაუშვა, რაიმე ხომ არ შეეშალა?

საქართველოში უკან მოხედვა არ უყვართ — არა იმიტომ, რომ ეზარებათ, არამედ იმიტომ, რომ უკან მოხედვისას, არ არის გამორიცხული, ძალიან ბევრი ისეთი რამ დაინახო, რომლისაც შეიძლება შეგრცხვეს და თავი უხერხულად იგრძნო.

ამიტომაც გვირჩევნია, წინ ვიაროთ, გაშეშებული კისრით და ერთ წერტილს მიშტერებული თვალებით, აქეთ-იქით რომ არ გაგვექცეს მზერა და, მით უმეტეს, უკან მოხედვის ცდუნებას არ ავყვეთ.

ზოგჯერ ხდება ხოლმე — გგონია, რომ წინ მიდიხარ, ამ დროს ეს წინ სვლა მხოლოდ წინსვლის იმიტაციაა, სინამდვილეში კი ერთ ადგილს ტკეპნი და არსადაც არ მიდიხარ, უფრო ზუსტად, ძალა არ გაქვს, რომ წინ წახვიდე, რადგან უკან ის წარსული გექაჩება, რომელიც დავიწყებით კი დაივიწყე,



მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის გაქრა და არ არსებობს.

●

ყველაფერი შედარებითია ამ ქვეყანაზე...

რაღაცის ფასი და მნიშვნელობა რომ გაიგო, ამ რაღაცას სხვა რაღასაც ადარებ და ისე გამოგაქვს დასკვნა.

საქართველოს დღევანდელ რეალობას იმ რეალობას თუ შეადარებ, რომელშიც საქართველო დამოუკიდებლობის მიღებამდე ცხოვრობდა, ამ შედარების შედეგად აუცილებლად დაგებადება ბევრი კითხვა: — როდის იყო საქართველო უფრო დამოუკიდებელი და თავისუფალი — დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თუ დამოუკიდებლობის მიღებამდე?

როდის იყო საქართველო უფრო მდიდარი, უფრო ბედნიერი, უფრო წარმატებული — დამოუკიდებლობის მიღებამდე თუ დამოუკიდებლობის შემდეგ?

როდის იყო საქართველოს მოსახლეობა უფრო მრავალრიცხოვანი, უფრო ლაღი და წელგამართული, დამოუკიდებლობის მიღებამდე თუ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ?

როდის იყო ქართული მწერლობა, ქართული თეატრი, ქართული კინო, ქართული მხატვრობა და მუსიკა უფრო წარმატებული — დამოუკიდებლობის მიღებამდე თუ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ?

რატომ აღმოჩნდა დამოუკიდებლობა ის მუხრუჭი, რომელმაც ქვეყნის წინსვლა და განვითარება შეაფერხა? დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი, თავისუფლება ხომ ის უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა, რაც ერს საშუალებას აძლევს, თავისი კუთვნილი ადგილი დაიკავოს მსოფლიოს ხალხთა დიდ ოჯახში და თავისი იდენტობით, თავისი განსაკუთრებული ნიშნით, თავისი განუმეორებელი სახით და ხასიათით თავისი წვლილი შეიტანოს კაცობრიობის ისტორიაში.

დამოუკიდებლობა და თავისუფლება საჭირო არის თუ არა, ამას კი არ ვაყენებ ეჭვქვეშ, უფრო იმის გარკვევა მინდა, ნამდვილად მოვიპოვეთ თუ არა ჩვენ 90-იან წლებში დამოუკიდებლობა, თუ ეს ყველაფერი ფიქცია და მირაჟი იყო?

30 წლის წინანდელ ამბებს რომ ვიხსენებ და დღევანდელ სიტუაციას რომ ვაკვირდები, თითქოს არაფერი შეცვლილა — იგივე ლოზუნგები და მოწოდებები, იგივე პოლიტიკური სინტაქსი, იგივე პათეტიკა, იგივე მტერი, მოყვრებად და მოკავშირეებად გამოცხადებული იგივე სუბიექტები, იგივე ხაფი და ომახიანი: — გაუმარჯოს! იგივე ქადილი და მუშტების მრისხანე ქნევა, შემდეგ კი იგივე ნული, ოღონდ უფრო დიდი და მსხვილი.

პოლიტიკური ხასიათის ოცდაათი წლის წინანდელი და დღევანდელი თეატრალიზებული წარმოდგენებიც რომ შეადარო ერთმანეთს, თითქოს ერთი და იგივე რეჟისორის დადგმულია, „პიესის“ ტექსტიც ერთი და იგივე ავტორს ეკუთვნის და მუსიკალური გაფორმებაც.

ის კი არა, „სპექტაკლში“ მოთამაშე „მსახიობებიც“ იმდენად ჰგვანან ერთმანეთს, შეგიძლია ახლანდელი „აქტიორები“ პირდაპირ ჩასვა ძველი „აქტიორების“ ადგილას.

ასე, მაგალითად, ირაკლი წერეთლის ადგილას ნიკანორ მელია რომ „ჩააწებო“, ლუიზა შაკიაშვილის ნაცვლად მეგი გოცირიძე ან თაკო ჩარკვიანი, ამით არაფერი შეიცვლება.

ისე, როგორც ახლა, მაშინაც რუსეთს ვეძახდით ოკუპანტს



(თუმცა იმ პერიოდისთვის რუსეთს არც აფხაზეთი ჰქონდა ოკუპირებული და არც სამაჩაბლო), ისე, როგორც ახლა, მაშინაც მტკიცედ გვჯეროდა, რომ ნატო დაუყოვნებლივ შემოვიდოდა საქართველოში, მთელი დასავლეთი რუსეთის იმპერიასთან დაპირისპირებულ პატარა საქართველოს დაუჭერდა მხარს და ასე ერთობლივად მტერს კუდით ქვას ვასროლინებდით.

ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ნატოში ვერც იქით შევედით და არც ნატო შემოსულა აქეთ, არც დასავლეთს მოუკლავს თავი ჩვენი გამოქომაგებით.

ყველაფერი იგივე დარჩა, რაც ოცდაათი წლის წინათ იყო, ოღონდ ერთი შესწორებით — საქართველომ ტერიტორიის 20% დაკარგა, ერთ დროს მდიდარი ქვეყანა უკიდურესად გაღარიბდა, ნახევარ მილიონამდე ადამიანი საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად და დევნილად იქცა, ორ მილიონამდე ქართველი ლუკმაპურის საძებნელად ქვეყნიდან გაიქცა.

თუმცა, სანამ ეს მოხდებოდა, მანამდე, დამოუკიდებლობის მიღებიდან ერთ წელიწადში, კანონიერი გზით არჩეული ხელისუფლება იარაღის ძალით დაამხეს, ქვეყნის პირველი პრეზიდენტი მოკლეს, მაგრამ გამოსარჩლებით არც მაშინ გამოგვსარჩლებიაა ვინმე და ქართული სახელმწიფო „კანონიერ ქურდს“ და „ძველ ბიჭს“ შეატოვეს სამართავად.

მოგვიანებით, საქართველოს მოსახლეობას სოკოებივით ერთბაშად ამოყრილი „ბანკები“ მიუსიეს საძარცვავად და დასამარხად გადანახული უკანასკნელი გროშები ამოაცალეს ჯიბიდან. ამას დაუმატეთ მიმოქცევაში კუპონის გაშვება, რომელმაც საბოლოოდ გააკოტრა ქვეყანა, თუმცა მათ, რომლებიც ხელისუფლების სათავეებთან იდგნენ, ძალიან მაგრად იხეირეს და ერთბაშად მილიონები იშოვეს.

მოსახლეობის მასობრივ გაკოტრებას პრივატიზაციის პროცესი მოაყოლეს და ერთეულებმა საერთო-სახალხო ქონება კაპიკების ფასად ჩაიგდეს ხელში.

ამ ეროვნულ ტრაგედიას პარალელურად მეორე ეროვნული ტრაგედია მოჰყვა — ქართულ-აფხაზური კონფლიქტი, ქართველების გენოციდი, სამასი ათასი ქართველის გამოდევნა აფხაზეთიდან, ქვეყნის ინფრასტრუქტურის სრული გაჩანაგება, ფაბრიკების, ქარხნების, საწარმოების ნგრევა და გაპარტახება.

სანამ ბოლო აგურამდე არ დაინგრა ყველაფერი, სანამ ბოლომდე არ გავნადგურდით, მანამდე არავის გამოუხედავს ჩვენსკენ,



მათ შორის არც იმათ, რომლებიც გვამხნევებდნენ, გვაქეზებდნენ, გვაიმედებდნენ — ოღონდ თქვენ იბრძოლეთ, ოღონდ ბოლომდე მიაწექით ამ ოკუპანტ რუსებს და ყოველმხრივ გვერდით დაგიდგებით და ფარად აგეფარებითო.

რა ფარი, რისი ფარი — ზერელედ და გულსგარეთ ნათქვამი „შეშფოთება-აღშფოთების“ იქით საქმე არ წასულა, თუმცა თავიანთი ინსტრუქტორების ჩუმჩუმად შემოყვანა და სახელმწიფო სტრუქტურების სხვადასხვა რგოლებში ზედამხედველებად და ჭკუისმასწავლებლად ჩასმა არ დავიწყნიათ.

ასე თანდათან, ნელ-ნელა მიგვახვედრეს, რომ ახლა ისინი იყვნენ ახალი უფროსები ამ ქვეყანაში და ამიერიდან მათთან დათათბირების და მათთან შეთანხმების გარეშე სახელმწიფოში მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები არ მიიღებოდა.

●

ვისაც ახსოვს, 1988-89-90 წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეგიდით ჩატარებული მიტინგები და აქციები, ერთ საერთო და უცვლელ ლოზუნგს მიაქცევდა ყურადღებას, რომელიც ლაიტმოტივად გასდევდა ყველა მიტინგს და აქციას.

ჩვენ დამოუკიდებლობას და თავისუფლებას კი არ ვითხოვდით მხოლოდ, არამედ ვითხოვდით გათავისუფლებას ოკუპანტი რუსეთისგან და იქვე დავსძენდით, რომ რუსეთისგან თავის დაღწევის შემდეგ დაუყოვნებლივ უნდა შევსულიყავით ნატოში და ჩვენი ისტორიული ადგილი უნდა დაგვეკავებინა ევროპული სახელმწიფოების დიდ ოჯახში, ანუ, ფაქტობრივად, ღიად და პირდაპირ ვამბობდით, რომ ძველი პატრონი ახალი პატრონით უნდა ჩაგვენაცვლებინა, რკინის უღელი ოქროს უღელზე უნდა გადაგვეცვალა, თუმცა იმას ვერ ვაცნობიერებდით, რომ უღელი უღელია და ოქროსი შეიძლება რკინისაზე უფრო მძიმე აღმოჩნდეს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიერ მთავარ სტრატეგიულ ამოცანად დეკლარირებული მკვეთრად ანტირუსული განწყობა ისეთ შთაბეჭდილე-





ბას ტოვებდა, თითქოს მთავარი მიზანი დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის აღდგენა კი არა, რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა, მის დასუსტებაში აქტიური მონაწილეობის მიღება იყო, რაც ძალიან ჰგავდა დასავლეთის ფარულ დაკვეთას,

არადა, რამდენად სწორი იყო რუსეთის მიზანში ამოღება და მისი მტრის ხატად გამოცხადება, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი ინგრეოდა და თვით რუსეთიც, ისე, როგორც სსრკ-ში შემავალი სხვა რესპუბლიკები, დაჟინებით ცდილობდა საბჭოთა იმპერიიდან თავის დახსნას და „ნაცმენებისგან", ანუ ნაციონალური უმცირესობებისგან გათავისუფლებას.

საქართველო და რუსეთი, მოცემულ სიტუაციაში, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და, იმის ნაცვლად, რომ ახალი პოლიტიკური გარემოებებით ესარგებლა და რუსეთთან ურთიერთობის ახალი, მისთვის სასარგებლო და მომგებიანი ფორმები გამოეძებნა, საქართველომ ამ უზარმაზარ სახელმწიფოსთან კონფრონტაციის და დაპირისპირების გზა აირჩია.

არანაირი რესურსი არ გაგვაჩნდა, არაფერი არ გვქონდა, გარდა დიდი აღტკინებისა და ექსტაზამდე მისული ეიფორიისა, მაგერამ მაინც თამამად და უშიშრად ვუტევდით რუსეთს, თითქოს ვცდილობდით, წონასწორობიდან გამოგვეყვანა და თავისი ნამდვილი ძალა გამოეაშკარავებინა — მკაცრი, ულმობელი, სასტიკი ძალა, რომელიც, ერთხელ თუ დაიძრა, მერე მისი შეჩერება არაფერს შეუძლია.

დარწმუნებული ვარ, ვიღაც საიდუმლო მრჩევლები გვირჩევდნენ და გვაქეზებდნენ, ისე მოვქცეულიყავით, როგორც ვიქცეოდით, ხოლო, რა შედეგები შეიძლებოდა ყოველივე ამას მოჰყოლოდა, ამაზე ნაკლებად ვფიქრობდით.

— ჩვენ დავანგრიეთ საბჭოთა კავშირი, ჩვენ გავათავისუფლეთ აღმოსავლეთ ევროპა! — ჭექდნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები და მსოფლიო მნიშვნელობის ამ ისტორიულ „გამარჯვებას" მთელ საქართველოს ულოცავდნენ.

საბჭოთა კავშირი ხომ დავანგრიეთ, ახლა რუსეთი უნდა დაგვენგრია, ჩრდილო კავკასიის ხალხები უნდა გაგვეთავისუფლებინა და ერთიანი კავკასიური სახლი უნდა შეგვექმნა, ცენტრით თბილისში.

იმატა და იმატა ქართული დელეგაციების ვიზიტებმა ჩრდილო კავკასიაში — ხან ჩეჩნეთში ვიყავით, ხან ინგუშეთში და ერთიანი კავკასიური სახლის იდეას ვქადაგებდით, იმაზე კი არ ვფიქრობდით, რომ ეს ჩრდილოკავკასიური ავტონომიური რესპუბლიკები რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შედიოდა და ჩვენი „მისიონერული" ხასიათის ტურნეები ამ




რესპუბლიკებში რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევად აღიქმებოდა.

ჯერ საკუთარი თავისთვის არ გვქონდა ბოლომდე ნაშველი და სხვების საშველად ვიწევდით, თუმცა ჩვენ, ვინც საბჭოთა კავშირი „დავშალეთ" და „დავანგრიეთ", არც ამ ლოკალური ამოცანის შესრულება (ჩრდილო კავკასიის გათავისუფლება) გაგვიჭირდებოდა.

ასე გვჯეროდა, ასე გვწამდა მაშინ, თუმცა ამ ჩვენს თავდაჯერებულობას, ამ ჩვენს მტკიცე რწმენას არანაირი საყრდენი არ გააჩნდა — ჰაერში იყო გამოკიდული საჰაერო ბუშტივით და ერთი ქარის ძლიერი დაქროლება და ბუშტივით გასკდებოდა.

ბევრი არა, მაგრამ მაინც იყვნენ ადამიანები, ვინც ამ საყოველთაო აღტკინების და ეიფორიის ჟამს სიფხიზლეს და პრაგმატულად აზროვნების უნარს ინარჩუნებდნენ და ხელისუფლებას, ხალხს, მთელ ქვეყანას აფრთხილებდნენ, რომ ეს ზღვარგადასული თავდაჯერებულობა და რუსეთის წინააღმდეგ უკომპრომისო დაპირისპირება შეიძლებოდა ბუმერანგივით მოგვბრუნებოდა უკან და გადავეთელეთ, თუმცა ქვეყნის ჭირისუფლის და გულშემატკივრის პოზიციიდან გაჟღერებული ეს გაფრთხილებები უკიდურესად მტრულად და აგრესიულად აღიქმებოდა ადამიანთა გარკვეული ჯგუფებისგან, რომლებიც თვლიდნენ, რომ წყეული კომუნისტებისგან ქვეყანა მათ გაათავისუფლეს და ახლა მათი მმართველობის დრო დადგა.

ისინი თვლიდნენ, რომ პოლიტიკაშიც შესანიშნავად ერკვეოდნენ, ეკონომიკაც და მართვის ტექნოლოგიებიც ბრწყინვალედ იცოდნენ, თუმცა მათი მსჯელობიდან ადვილად დაასკვნიდი, რომ სრულ უწიგნურობასთან, სრულ უვიცობასთან, სრულ სიბრიყვესთან გქონდა საქმე.

მათთვის ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი სუკის აგენტი და ქვეყნის მტერი და მოღალატე იყო.

დაახლოებით, დაახლოებით კი არა, ზუსტად ის სიტუაცია იყო, რაც არის დღეს, როცა ვიღაც რეგვენი და ხეპრე რუსეთის აგენტს, მონას ეძახის ადამიანებს, რომლებიც წინდახედულებისა და სიფრთხილისკენ მოუწოდებენ ქვეყანას.

ქვეყანა რომ ამოტრიალდება, ფსკერი ამოდის ზემოთ და მერე ეს ფსკერი, ეს დუნდგო და წვირე, ცდილობს საზოგადოების ცენზორის, საზოგადოების მორალური ზედამხედველის როლი იტვირთოს, რომ მის მიერ დამარხულ ჭკვიან და გონიერ ადამიანებს თავი არ წამოაწევინოს, ხმა არ ამოაღებინოს და ამით მოახერხოს დიდხანს იტივტივოს ზედაპირზე.

ოცდაათი წლის წინათ ამოყირავებული ფსკერი ჯერ კიდევ არ ჩაძირულა, მას ანკეტა შეუცვალეს, სხვა სახელი დაარქვეს, მაგრამ ტექსტი ზუსტად იგივე დაუტოვეს, რაც ოცდაათი წლის წინათ დააზეპირებინეს...

საიდან მოჰყავთ ეს „სასტავი", რომელი კატაკომბებიდან ამოთხრიან ხოლმე, სად წვრთნიან, სად რყვნიან, სად აცლიან სულს და სულის ნაცვლად სად უდგამენ ყველას ერთ ხმაში მოლაპარაკე „პატეფონს"?

სხვათა შორის, ერთ ამბავს გეტყვით, რომელიც შეიძლება ბევრმა არ იცოდეს.

აი, მათ, რომლებიც ვითომ რუსეთს ებრძოდნენ და წესიერ ადამიანებს რუსეთის აგენტებს ეძახდნენ, ომის დამთავრების შემდეგ სწორედ რუსეთს მიაშურეს და რუსეთმაც ფართოდ გაუღო მათ სხვებისთვის მჭიდროდ დაგმანული კარები.

აი, ესენიც, დღეს საქართველოს პარლამენტის წინ ხმაშეწყობილად რომ ბღავიან, რუსეთი ოკუპანტია! და ის პოლიტიკოსებიც „ნაცმოძრაობიდან", რომლებიც პროდასავლურ ორიენტაციას აწვებიან და ისიც, უკრაინის მოქალაქე, გლდანის ციხეში რომ აფხარკალებს ფეხებს და პუტინის ტყვე ვარო, რომ გაჰყვირის, რუსეთის აგენტურაა, რუსეთის მეხუთე კოლონაა და თუ საჭიროება დადგება, მათაც ისევე ჩაიხუტებს გულში რუსეთი, როგორც მათი „წინაპრები" ჩაიხუტა 90-იან წლებში.

გასულ კვირას, როცა კიდევ ერთხელ იქცა მწვავე დისკუსიის საგნად უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების საკითხი, ერთმა მაღალჩინოსანმა დასავლეთიდან ნათლად და გარკვევით გვითხრა: საქართველო ჯერჯერობით ნატოს წევრი ვერ გახდება, რადგან თქვენთან პოლიტიკურად არასტაბილური სიტუაციააო.

რა გამოდის?

რა გამოდის და ის, რომ „ნაცმოძრაობა", ეს ვითომდა „პროდასავლური" ძალა, წლებია მხოლოდ იმაზე მუშაობს, რომ საქართველო ვერც ნატოში გაწევრიანდეს, ვერც ევროკავშირში შევიდეს.

დიახ, ეს ასეა და თუ ეს ასეა, გასაკვირი არ არის, ამ აშკარად პრორუსულ ძალას ჩვენი დასავლეთელი პარტნიორები და მეგობრები ასე თავგამოდებით რომ მფარველობენ და პატრონობენ და ხან ამერიკელი კონგრესმენები რომ გვიქნევენ თითს და ხან ევროპარლამენტარები?

ყოველივე ამის შემდეგ რა ვიფიქროთ და რა დასკვნა გავაკეთოთ?

რა ცინიკური თამაშია ეს, რომელიც თამაშს კი არა, წამების სადისტურ რიტუალს უფრო ჰგავს.

ვერც წინ მივდივართ, ვერც უკან ვბრუნდებით, რადგან წინაც ჩიხია და უკანაც — ორმაგ ჩიხში ვართ ჩაჭედილი და ამ ორმაგ ჩიხში ჩაჭედილებს ხან კუბილიუსი გვიკითხავს დემოკრატიის შესახებ საგანმანათლებლო ხასიათის ლექციებს, ხან კელი დეგნანი, ხან ფოტიგა, ხან შარლ მიშელი, რომლებსაც ხშირ-ხშირად ავიწყდებათ, რომ უძველესი ცივილიზაციის და კულტურის დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ და არა ოროსანი მოწაფე, რომელსაც ბატონმა შარლმა საშემოდგომო გამოცდა გამოაყოლა და საპარლამენტო არჩევნებში რომ გაიმარჯვეთ, ეგ ამბავი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში უნდა დაამტკიცოთო, დაგვიბარა.

ასე ესმით ამათ დემოკრატია — გადააბრუნებ — თეთრია, გადმოაბრუნებ — შავია, ხოლო ასეთ „დემოკრატიაში" ადამიანების მწამებელი — დემოკრატიის შუქურაა, ბანდიტი, ავაზაკი, ხაზინის ქურდი, პარლამენტზე იერიშის მიმტანი „შტურმავიკი" — პოლიტპატიმარი.

ჩვენ კი ვდგავართ და ომახიანად ვმღერით — „თავისუფლება დღეს ჩვენი მომავალს უმღერს დიდებას, ცისკრის ვარსკვლავი ამოდის, ამოდის და ორ ზღვას შუა ბრწყინდება".

რა თავისუფლება, რისი თავისუფლება, რა ვარსკვლავი, რისი ვარსკვლავი, როცა დამოუკიდებლობის მიღებიდან ერთ წელიწადში დინების საწინააღმდეგოდ ცურვაში დაგვდეს ბრალი და განაჩენიც გამოგვიტანეს.

ფრაგმენტი ჩემი ძველი წერილიდან:

„1992 წლის დეკემბერი იდგა.

სამეგრელოს ერთ პატარა სოფელში, ჩემი უფროსი დის სახლში, საქართველოს პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მისი თანმხლები პირები, ათიოდე კაცი, მიიყვანეს — მდევარი მოგვდევს და იქნებ, ცოტახნით შეგვიფაროთო.



4 გვ.

# გალობანი სინანულისანი, ანუ ფიქრები მწუხრის ჟამს



3 გვ.

ტყე-ტყე ნახეტიალებ, ტალახში ამოგანგლულ სტუმრებს შეძლებისდაგვარად მოუარეს, დეკეული დაკლეს და „ზალაში" სუფრაც გაუშალეს.

ჩემმა დამ, ბაბუცამ, აიჩემა: პრეზიდენტისთვის ორი სიტყვა მაქვს სათქმელი და შემიშვითო.

— სად შეგიშვა, ქალო, პრეზიდენტია ეგ კაცი, შენი მეზობელი ბარდღა ხომ არ გგონიაო, — არ უშვებს ბაბუცას ანზორი, ჩემი დისშვილი.

ზვიადმა ყური მოჰკრა დედშვილის კამათს და — შემოუშვით ქალბატონი ბაბუცაო — გასძახა ანზორს.

სოფელში ოთარაანთ ქვრივს ეძახდნენ ბაბუცას ხასიათის სიმტკიცისა და პირდაპირობის გამო.

— შვილო, შენ მეგრული თუ იციო? — ჰკითხა ბაბუცამ სტუმარს.

— მთლად გამართულად ვერ ვლაპარაკობ, მაგრამ ყველაფერი მესმის, — მიუგო ზვიადმა.

— მაშინ მეგრულად გეტყვი სათქმელს. შენ, ამხელა კაცი, კონსტანტინე გამსახურდიას შვილი, საქართველოს პრეზიდენტი, იმაზე თუ დაფიქრებულხარ, როგორ მოხვდი აქ, ჩემს ჯარგვალში?

— გამოდი, ქალო, აქით, რასაა, რომ ეკითხები? — მკლავზე წაეპოტინა ანზორი დედას.

— ათქმევინეთ, კაცო, რისი თქმაც უნდა ქალბატონს, — ისევ გამოესარჩლა ზვიადი ბაბუცას.

— ჰოდა, იმას ვამბობდი... იმიტომ მოხვდი აქ, ამ მივარდნილ სოფელში, რომ ამის, ამის და ამის ჭკუაზე გაიარეო — და ჩამოუთვალა ბაბუცამ სახელებით და გვარებით ის ადამიანები, რომლებიც გროზნოდან გამსახურდიას საქართველოში ჩამოყვანის ინიციატორები იყვნენ.

— მართალი ხართ თქვენ, ქალბატონო ბაბუცა, მომატყუეს მე, მოტყუებით ჩამომიყვანეს აქ, მაგრამ მე აქედან ცოცხალი არ წავალ, — რაღაცნაირი ჩავარდნილი ხმით თქვა თურმე ზვიადმა.

რამდენიმე დღეში ზვიადი სხვა სოფელში გადაიყვანეს, ერთ კვირაში კი ბაბუცას სახლს პოლიციელები მიადგნენ — ზვიადი გარდაიცვალა, აქ, ეზოში გყავთ დამარხული და აქაურობა უნდა გავჩხრიკოთო.

კარგა ხანს ჩიჩქნეს პოლიციელებმა მიწა, მაგრამ, რაც არ იყო, რას იპოვიდნენ.

წასვლა რომ დააპირეს, ბაბუცა წინ გადაუდგა პოლიციელებს და კატეგორიულად უთხრა: ხომ თვითონ თქვით, ზვიადი გარდაიცვალაო. ახლა აქიდან არ გაგიშვებთ, სანამ მის შესანდობარს არ დალევთო.

უარმა არ გაჭრა...

ჭიშკართან რომ მივიდნენ, პოლიციის უფროსი მოტრიალდა, ბაბუცასთან მივიდა, გულში ჩაიკრა და ხმამაღლა უთხრა: რა მაგარი ბებო ხარ, ზვიადისტი რომ არ იყოო".

●

მოტყუებული საქართველო, თავისუფლებით ნაცდუნები საქართველო, თავისუფლების ძიებაში გზააბნებული, ზვიად გამსახურდიასავით, იქითკენ წაიყვანეს, სადაც მსოფლიოს თემშარაზე ქვეყნების ძარცვასა და დაყაჩაღებაში გავარჯიშებული აბრაგები იყვნენ ჩასაფრებული.

**ბოლოსიტყვა**: დამოუკიდებლობის ამ ოცდაათწლიან გზას რომ გააყოლებ თვალს, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ამ ხნის განმავლობაში დაჟინებით ცდილობდნენ ჩვენი თავისუფლება და დამოუკიდებლობა რაღაც ჩარჩოებში მოექციათ, რომლის იქეთ გასვლა სახიფათო და საშიშ ნაბიჯად გვეთვლებოდა.

ასე მოვაღწიეთ 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე, რომელშიც „ქართულმა ოცნებამ" ისტორიული გამარჯვება მოიპოვა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ მომენტიდან იწყებს საქართველო გზადაგზა, ნაწილ-ნაწილ დაკარგული და შეკუმშულ-შემცირებული დამოუკიდებლობის ხელახლა მოპოვების პროცესს.

2012 წლის ოქტომბერი, ფაქტობრივად, გასული საუკუნის 90-იან წლებში ხელოვნურად გაწყვეტილი და შეჩერებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირდაპირი გაგრძელებაა, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის ბატონ ბიძინა ივანიშვილს, რომელმაც შეუძლებელი შესძლო და ნაციონალებს, ამ შინაურ დამპყრობლებსა და ოკუპანტებს, საქართველო ხელიდან გამოგლიჯა.

ვისაც რა უნდა ის დამაბრალოს, მაინც უნდა ვთქვა ის, რაც სიმართლედ მიმაჩნია — **ბიძინა ივანიშვილმა 2012 წელს იგივე ისტორიული როლი შეასრულა საქართველოს ცხოვრებაში, რაც ზვიად გამსახურდიამ**.

ბიძინა ივანიშვილმაც ზვიად გამსახურდიასავით თავის დროზე თავი გადასდო საქართველოსთვის და გმირ ქართველ ხალხთან ერთად ხელახლა მოიპოვა დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი და, რაც მთავარია, მან თავისი განსაკუთრებული ნიჭიერების წყალობით შესძლო ამ უდიდესი მონაპოვრის შენარჩუნება.

ბიძინა ივანიშვილსაც, ამ ათი წლის განმავლობაში, ზუსტად იგივე მეთოდებით ებრძვიან, როგორც ებრძოდნენ ზვიად გამსახურდიას.

ამოსწიეთ იმდროინდელი პრესა, ნახეთ იმდროინდელი სატელევიზიო გადაცემები, ნახეთ იმდროინდელი მიტინგებისა და აქციების ამსახველი ვიდეოკადრები — ერთი-ერთში იმეორებს „ნაცმოძრაობისა" და მისი სატელიტი ოპოზიციური პარტიების პათოსს და პათეტიკას.

ჩვენ, უფროს და საშუალო თაობის ადამიანებს, ეს ყველაფერი საკუთარი თვალით გვაქვს ნანახი და ისიც კარგად ვიცით, როგორი ტრაგედიით დამთავრდა ეს ყოველივე საქართველოსთვის.

მხოლოდ გამსახურდია კი არ დაამარცხეს და დაამხეს მაშინ დემოკრატიის სახელს ამოფარებულმა ავაზაკებმა, საქართველო დაამარცხეს და დაამხეს, რის შემდეგაც ქვეყანა წლებში ვერა და ვერ გაიმართა.



ახლა, იგივეს გამეორებას ცდილობენ იმ ავაზაკების შთამომავლები, ხოლო მათი ბელადი, მთავარი ავაზაკი, გლდანის ციხიდან ახალ-ახალ ინსტრუქციებს და დირექტივებს აგზავნის, თუ როგორ უნდა დაამხონ ხელახლა ეს ერთხელ უკვე დამხობილი და ფეხზე წვალებით წამომდგარი ქვეყანა.

გამაგებინეთ, სასჯელს იხდის ეს კაცი თუ რევოლუციური შტაბბინა აქვს გახსნილი ციხეში?

ბარემ, ისიც გამაგებინეთ, ეს ის კაცი არ არის ზვიად გამსახურდიას კავკასიის სადამ ჰუსეინს რომ ეძახდა, ახლა კი თავის თავს გამსახურდიას რომ ადარებს?

●

როგორც წერილში არაერთგზის აღვნიშნე, საქართველოს სიყვარული, ქართული სახელმწიფოს



ინტერესებისადმი ერთგულება დღესაც საშიშია საქართველოში, განსაკუთრებით იმ ქართველებისთვის, რომლებიც ხელისუფლებაში არიან.

საკმარისია ვინმემ მკვეთრად ეროვნული ხასიათის განცხადება გააკეთოს, ან ისეთი ნაბიჯი გადადგას, რომელიც არ ჯდება სადღაც ვიღაცის მიერ დადგენილ ტრაფარეტში, მყისვე განგაშის სიგნალი ჩაირთვება და საზოგადოებას შიში იპყრობს — ეს საქართველოს გამოსარჩლებული კაცი საქართველოს გამოსარჩლების გამო თანამდებობიდან არ გაათავისუფლონ ან რაღაც სხვა ფორმით არ დასაჯონო.

**განსაკუთრებით ხშირად ხდება ასეთი ამბავი ირაკლი ღარიბაშვილთან დაკავშირებით, რომელიც თხემით ტერფამდე ქართველი კაცია და არც არასდროს დაუმალავს, რომ მისი უპირველესი და უმთავრესი მოვალეობაა ემსახუროს საქართველოს და ქართველ ხალხს.**

**ყველას კარგად ახსოვს მისი განცხადება — ჩემი უფროსი რომელიმე ევროპარლამენტარი კი არა, ქართველი ხალხია!**

**მსგავსი რამ ასე ნათლად და ასე ღიად, საქართველოს დამოუკიდებლობის ამ ოცდაათწლიან პერიოდში არავის უთქვამს.**

ჩემი აზრით, ეს განცხადება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ის თამამად შეიძლება ჩაითვალოს ქართული სახელმწიფოს შემდგომი განვითარების მთავარ დევიზად.

„ნაცმოძრაობამ", რომელიც ბევრს კი იფხორება, მაგრამ სინამდვილეში, მონური კომპლექსებით დასნეულებული ძალაა, ირაკლი ღარიბაშვილის ეს განცხადება დასავლური კურსიდან გადახვევად და რუსულ ორბიტაზე დაბრუნების მცდელობად შეაფასა და გახარებული და სახეგაბრწყინებული ელოდა როგორ გადააყენებდნენ პოსტიდან პრემიერს, რომელმაც ასეთი „თავხედური" პოზიცია დააფიქსირა.

იყო ასეთი პოეტი, ალე ფეოდოსიშვილი, რომელმაც გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში თქვა: „დედას მოვკლავ და დავაზრჩობ მამას, რევოლუცია თუ ითხოვს ამას".

„ნაციონალები" კოლექტიური ალე ფეოდოსიშვილები არიან, რომლებიც დასავლეთს არწმუნებენ, რომ ძალაუფლებაში ყოფნის ფასად მზად არიან ნებისმიერი დავალება შეასრულონ, მათ შორის, დედა, სამშობლოც, მოკლან და მამაც ზედ მიაყოლონ.

„ნაციონალები" პოლიტიკური სპეკულიანტები არიან, რომლებიც სამშობლოს თავისუფლებით და დამოუკიდებლობით ვაჭრობენ.

**ამ ფონზე, ნამდვილი გმირობაა ის, რასაც საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება აკეთებს, თუმცა ამ გმირობას დანახვა, დაფასება, თანადგომა და მხარდაჭერა სჭირდება საქართველოს თითოეული მოქალაქისგან, ვისთვისაც თავისუფლება და დამოუკიდებლობა ღირსების საქმეა.**

ადრე ნათქვამს გავიმეორებ: „დამოუკიდებლობა არ არის ერთჯერადი აქტი, ერთხელ რომ მოიპოვებ და მერე სულ დამოუკიდებელი ხარ. დამოუკიდებლობა მარადიული, უწყვეტი პროცესია, რომლისთვისაც ყოველდღე უნდა იბრძოლო და რომელიც ყოველდღე უნდა მოიპოვო".

# შეიძლება სააკაშვილი უკრაინიდან რაღაც საშიშ ძალებს გამოექცა და საქართველოს ხელისუფლებას შეგნებულად ჩაბარდა, რომ თავი გადაერჩინა

*გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:*

**— ბატონო რამაზ, პოლიტიკური წელი ულიმღამოდ დაიწყო. რა პროგნოზები გაქვთ?**

— დიახ, სიტყვა ულიმღამო მშვენიერი იარლიყია, ვითარების დახასიათებისთვის სწორედ რომ შესაფერისია. პოლიტიკას როგორც სხვა დანარჩენს, აზარტი აცოცხლებს. თუ სააზარტო არაფერია და ყველაფერი, უკვე, ერთხელ ნანახ კინოს ჰგავს, მაშინ ულიმღამობის განცდაც ჩნდება. მით უმეტეს, რომ ერთხელ, უკვე, ნანახისგან, ჩამქრალი კინო მივიღეთ რომელსაც არც ძლიერი ხმა აქვს და არც გამოსახულება — მხოლოდ, აჩრდილები დადიან. ბუნებრივია, ამ ფონზე, ადამიანს ემოციური რეაქცია ვერ გექნება. დავსვათ კითხვა: რატომ ვხედავთ ჩრდილებს და ულიმღამობას? — იმიტომ, რომ პრაქტიკულად, ოპოზიციამ საფუძვლიანი მარცხი განიცადა. თავად, ოპოზიციონერებიც კი ერთმანეთს აკრიტიკებენ. ის, რომ მათ წააგეს, უკვე თავადაც აღიარებენ. ადრე, ამბობდნენ: ხელისუფლებამ არჩევნები მოგვპარა, ხმები მოგვტაცაო. მსგავსი, აღარაფერი ისმის. ეს დიდი წინსვლაა — აღიარო რომ წააგე, დამარცხდი. თავისთავად, ოპოზიცია არ არის ერთგვარი და როგორც მოგახსენეთ, ერთმანეთის მიმართაც კრიტიკულნი არიან. ესეც, წესით, წინსვლაა — იმედს აჩენს, რომ შესაძლოა ოპოზიცია ამა თუ იმ მოვლენის მიმართ ადეკვატური შეფასებით განიმსჭვალოს და შესაბამისი ნაბიჯები გადადგას. ამჯერად, ვსხედვართ არასაინტერესო, მარცხიანი სურათის წინ. დიახ, სურათისა, რომელსაც რაიმე, ახალ რეალობაში გადასვლის შანსი, ჯერ, არ ეტყობა. სიახლისკენ ნაბიჯი, არცერთ, ოპოზიციურ ჯგუფს არ გადაუდგამს.

**— სურათი, მართლაც უცვლელია — შევიდეთ პარლამენტში თუ არა და ა.შ. რა გადალაგებებია ნაცებთან — ზოგი ჩამოქვეითდა, ზოგიც დაწინაურდა?**

— ვერ გეტყვით, კობა ნაყოფია რამდენად რეალური ძალის პატრონი გახდა. ოპოზიციურ ფრთაში ყველაზე დიდი ძალა, მაინც, სააკაშვილს აქვს. ნაყოფია, შეიძლება, სააკაშვილის ძალის განმკარგავად მივიჩნიოთ. უფრო კონკრეტულად, მიშას ნების აღმსრულებლად. ამ პიროვნებაში, პარტიისთვის მომხიბვლელი, მისი ფინანსური შესაძლებლობებიც არის. ნაყოფიას ოჯახი ერთ-ერთ ოპოზიციურ ტელევიზიას აკონტროლებს. ამდენად, ასეთი ფიგურის წინა პლანზე წამოწევა, რომლის ფინანსებსაც მოიხმარენ და რომელიც კონცეფციების დიდი სიუხვით, სტრატეგიული გათვლებით არ გამოირჩევა, ბუნებრივად მიმაჩნია.

**— რებუსი მაინც ამოსახსნელია — ვიცით რას აპირებენ ნაცები, მაგრამ რას აპირებს „ქართული ოცნება“?**

— ამ მიმართულებით, პირველ რიგში, ნაცებს დესტაბილიზაციის შექმნის საშუალებას არ მისცემს. ამის გაკეთება, ამ შემთხვევაში, რთული აღარ არის. ამ ამოცანის დაძლევა უფრო და უფრო ადვილი ხდება იმიტომ, რომ ნაცების მხარდამჭერების რაოდენობა კლებულობს, მათი საპროტესტო აქციების კალაპოტში მოქცევა ბევრად ადვილია. რაც შეეხება ეკონომიკის, ჯანდაცვის მიმართულებებს, ვფიქრობ ხელისუფლებას ორიენტაცია შემდეგზე აქვს: ეკონომიკური პოტენციალი შეინარჩუნოს. მით უმეტეს, რომ გაჩნდა იმედი — ნელ-ნელა ეპიდემიამ სიმძაფრე დაკარგოს და ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგეს. ვიმედოვნებ, ადამიანთა სიცოცხლე ამ ვერაგ ვირუსს ნაკლებად შეეწირება. ამიტომ, ხელისუფლება ეკონომიკას უფრო თამამად ექცევა. რაც შეეხება პარტიულ ბრძოლას, აქ, „ქართულ ოცნებას“ სირთულეები არ უდგას. „ნაცმოძრაობას“ დამარცხება არ სჭირდება — თავად არის მარცხიანი, ხოლო დანარჩენი პარტიები მმართველ ძალას სერიოზულ პრობლემებს არ უქმნიან.

**— რაც შეეხება სააკაშვილს, უდანაშაულო ვარო — ამბობს და „ქართული ოცნებაც“ ნამუსს უნახავს. რატომ არ ასაჯაროებენ მტკიცებულებებს?**

— ზუსტად ვერ გეტყვით, ვის



უნახავენ მტკიცებულებებს, მაგრამ ფაქტია, სააკაშვილთან მიმართებით, ფრთხილად მოქმედებენ, რაც თვალშისაცემია.

რადიკალური ბრალდებების წაყენება სამართალდამცავთა მთელ რიგ ჯგუფებს არ აწყობთ. ამიტომ, სერიოზული, დრამატული ბრალდებების წაყენება არ ან ვერ ხდება. ამიტომ, მიშას დამნაშავეობა უცხოეთისთვის დამაჯერებელი არ არის. შედეგად, თუ დასავლეთისთვის აღნიშნული ბრალდებები დამაჯერებელი არ იქნება, იგი, მაშინვე, პოლიტიკურ დევნაზე დაიწყებს ლაპარაკს. და, ასეც ხდება. ანუ, სადაც სამართლებრივი მხარე გამართული არ არის, იქ, პოლიტიკურ თემაზე იწყება ლაპარაკი, ხომ.

არ მეგულება პატიმარი, რომელიც იტყვის: დამნაშავე ვარო. დანაშაულამდე მიყვანა და ბრალის დამტკიცება, მარტივი პროცესი არ არის. ამ კუთხით, სააკაშვილის საქციელი ლოგიკურია, მაგრამ გაუგებარია მეორე მხარის ქმედება.

**— სააკაშვილმა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი აღადგინა და ადმინისტრაციული საზღვრები გაავლო-მეთქი. ეს იმიტომ ხომ არ გააკეთა, რომ მერე, რუსეთისთვის ამ ტერიტორიების დამოუკიდებლობის აღიარება გაეადვილებინა?**

— კი ბატონო, ასეა. ეს ბრალდება ამოცანას კიდევ უფრო ართულებს. ამ საქმის გამოძიების შემთხვევაში, ქართულმა სამართალმა ბრალდება უნდა წაუყენოს როგორც სააკაშვილს, ასევე, რუსეთს. ანუ, ამ შემთხვევაში, რუსეთი არის მხარე, რომელიც ჩვენს შიდა საქმეებში ერეოდა და ამაში თავის ხალხს ე.წ. გავლენის აგენტებს იყენებდა. შეგვიძლია კი, რუსეთთან ასეთი დიალოგი ვაწარმოოთ? — არ ვიცი. ერთი საკითხია ეს რამდენად გვინდა და მეორეა — ამის კომპეტენცია შეგვწევს თუ არა.

**— სააკაშვილმა განაცხადა: ციხეში პიჯაკების გამო კი არ ვზივარ, არამედ იმიტომ, რომ რუსეთს საქართველო არ ჩავაბარეო. ეს სიმართლეა?**

— სააკაშვილი და მისი გუნდი ხელისუფლებას სდებს ბრალს: რუსეთისკენ მიგვაქანებსო. მიშა, 2012 წლის მერე, ქვეყნის სათავეში აღარ არის. ივანიშვილის ხელისუფლება ცხრა წელია ქვეყანას მართავს. თუ მმართველი ძალა პუტინს ემსახურება, მაშინ რატომ არ არის დღეს საქართველო რუსეთს ჩაბარებული?! ე.ი. სააკაშვილი ტყუის, ხომ. რა თქმა უნდა, იგი ტყუის იმაშიც, თითქოს, თვითონ საქართველო რუ-



სეთისთვის არ ჩაუბარებია. მაშინ, ცხინვალის სოფლებზე კი თქვა: ქვების გროვა იყოო, მაგრამ მან ამ სოფლებს რაც არ უნდა უწოდოს, ფაქტია, რომ ჩააბარა. ზოგადად, მოწინააღმდეგე მხარეები ხუთი დღე საომარი მოქმედებისთვის ემზადებიან-ხოლმე, სააკაშვილმა კი ხუთ დღეში ომი დაამთავრა. აღარაფერს ვამბობ იმაზე, როგორ მიატოვა მხედართმთავარმა ომში ჯარისკაცები და სიტუაციას მსხვერპლადშეწირული ქართველი მეომრები. ისინიც, ფაქტობრივად, სიკვდილისთვის გაწირა. ამ საქმეს, პატრიარქის გაბედულებამ უშველა, თორემ, სააკაშვილის მოქმედება ომის დროს და მის შემდგომ, აბსოლუტურად, მიუღებელ ხასიათს იღებდა. ასე, რომ სააკაშვილის საუბარი იმაზე, თითქოს, საქართველო რუსეთისთვის არ ჩაუბარებია, ეს საზოგადოების დიდი შეურაცხყოფაა.

**— რა კეთდებოდა 9 წლის მანძილზე, გაეწმინდათ შესაბამისი სტრუქტურები ნაცებისგან. იგივე, აშშ-ს ნაჩუქარი შეიარაღება ხომ საინტერესოა მართლა რუსებმა გაზიდეს თუ მათ გაყიდეს. ეს არ უნდა გამოიკვლიონ?**

— მოდით, ისევ ხალხის ფაქტორს მივუბრუნდეთ: რას აკეთებს



საზოგადოება იმისთვის, რომ ეს ინტერესი დაკმაყოფილდეს? — ორი გზა არსებობს: ერთი ის რომ ხალხი უკმაყოფილების გამოსახატად ქუჩაში აქციებზე გამოვიდეს, პროტესტი ხშირად და თვალსაჩინოდ გამოხატოს, მაგრამ ეს საკმარისი არ იქნება. მით უმეტეს, რომ პროტესტების გამოხატვის ექსკლუზიური უფლება „ნაცმოძრაობამ“ დაიილლიავა. თუმცა, დემოკრატიული წყობისთვის მარტივი და ბუნებრივი იქნება ის, რომ საზოგადოებამ ხმა მისცეს სხვა პარტიას და არა „ქართულ ოცნებას“. ამ უკანასკნელმა, სამწუხაროდ, ვერ გააკეთა ის რისთვისაც ხალხმა ხელისუფლებაში მოიყვანა. მაგრამ სხვა პარტია არ ჩანს. აი, ამაშია პრობლემა.

**— აშშ-მ, დასავლეთმა არ იცის რას აკეთებდა სააკაშვილი აქ, 9 წლის მანძილზე თუ მართლა „დემოკრატიის შუქურა“ ჰგონიათ?**

— ვერ გეტყვით, საერთოდ, რამდენად აწუხებთ ის, კავკასიაში ვინმე არის თუ არა დემოკრატიის შუქურა, მაგრამ სააკაშვილი თავისიანი რომ ჰგონიათ, ეს ფაქტია. დიახ, დასავლეთს ძალიან დიდხანს მიაჩნდა, რომ მიშა მის მხარეს მყოფი პოლიტიკოსია და მის, საქართველოს ხელისუფლებაში მოყვანას, ყველა მეთოდით ცდილობდნენ. სააკაშვილმა ძალაუფლებას გადააჭარბა თუ არა, ეს დეტალები დასავლეთს არ აღელვებდა. მას მხოლოდ ერთი რამ აინტერესებდა: ვის წისქვილზე ასხამს მიშა წყალს — დასავლეთის თუ რუსეთის? დიდი დრო დასჭირდა დაენახათ, რომ სააკაშვილი წყალს რუსეთის წისქვილზე ასხამს. დასავლეთს, ეს ფაქტი, ბოლომდე, გასიგრძეგანებული დღემდე არ აქვს.

**— სააკაშვილი სანამ ჩამოვიდოდა, ტელეკომპანია „მთავართან“ ჩართვისას განაცხადა: ნახტომისთვის ვემზადებიო. უკვე, გადახტა?**

— მიშა ნახტომისთვის დიდი ხანია ემზადება. ჩამოსვლამდე თვითმფრინავის ბილეთები გაასაჯაროვა, მაგრამ ტრაილერით ჩამოვიდა. ასე, რომ მის რიტორიკასა და რეალურ მოქმედებას შორის კავშირი არც ისე მყარია — ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს. რაც შეეხება მის აქ, ყოფნას, მე, არ მაქვს განცდა, რომ ვიცი თუ რატომ ჩამოვიდა. არც მისი ახსნა-განმარტებები მაკმაყოფილებს და ამ თეთრ ლაქას ვერც ჩემს ხელთ არსებული ცოდნა მივსებს. რატომ ჩამოვიდა ახლა? — ვერც იმას ვიტყვით, რომ არიქა, რევოლუციური სიტუაცია იყო ძალიან მომწიფებულიო. ეს, ტყუილია. პირიქით, ოპოზიციურ მიტინგებზე ახლა რომ ხალხის სიმწირეა, ასე არასდროს ყოფილა. ადრე, ოპოზიციის პროტესტი უფრო ძლიერი იყო. ამასთანავე, მიშა, სრულიად, გაუგებრად ჩამოვიდა. თუ ბრძოლას აპირებდა, წესით, თავისი მომხრეების რიგებში უნდა ჩამდგარიყო და ისინი, ფარად გამოეყენებინა. არც ეს გააკეთა, არამედ რომელიღაც ბინაში დაჯდა და ხინკალს ჭამდა. ასე, რომ გაუგებარია მისი ჩამოსვლაა. მით უმეტეს, ჩამოვიდა და ბათუმიდან ვიდეოებს ავრცელებდა: აქ, ვარო, რისი აუცილებლობაც არ იყო. სამართალდამცავებს შეატყობინა: ჩამოვედიო. ბევრი კითხვის ნიშანია. მე, დიდი ეჭვი მაქვს, რომ თვითონ უკრაინაში ჰქონდა საქმე ცუდად. ანუ, მისი მიზანი აქ, ჩამოსვლა კი არ იყო, არამედ იქედან წამოსვლა. საქართველოს ციხეში მოხვედრა, შეიძლება, მისთვის ყველაზე კარგი გამოსავალი იყოს.

**— როგორც ერთ-ერთ ფილმშია ჩვენც გიჟებმა ხომ არ აგვიყვანეს მძევლად?**

— ღმერთმა დაიფაროს მძევლად აგვიყვანონ, თუმცა ასეთი მოვლენა მსოფლიო ისტორიას ახსოვს — ნაცისტებმა მთელი გერმანელი ერი და მერე, თითქმის, მთელი მსოფლიო მძევლად აიყვანეს. კიდევ კარგი დამარცხდნენ, თორემ, მთელს მსოფლიოში ძალიან მძიმე სურათი დაიხატებოდა. გაუწონასწორებელი ადამიანების ხელისუფლებაში მოსვლას, ასეთი მიმართება, ყოველთვის ახლავს — მოსახლეობას მძევლის ფუნქციაღა რჩება. დიახ, ჰიტლერის მაგალითი ამის თვალსაჩინოებაა. მგონი, ამ ეტაპმა, უკვე, გადაიარა. ფსიქიკური აშლილობის საკითხი აღარ დგას. ღმერთმა ჰქნას, ხელისუფლების სათავეში ყოველთვის იყოს ხალხი, ვისაც ქვეყნის მართვა შეუძლია.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# რუსები და უკრაინელები სლავები არიან. მათ შორის ომის პროვოცირებას ის ძალები ცდილობენ, რომლებსაც ძალიან გაუხარდებათ, თუ სლავები ერთმანეთს დახოცავენ და დაასუსტებენ

***გვესაუბრება ანალიტიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ᲘᲒᲝᲠ ᲙᲕᲔᲡᲔᲚᲐᲕᲐ:***

**— ბატონო იგორ, რუსეთსა და უკრაინას შორის დაძაბულობა პიკს აღწევს, არადა, ისინი მოძმე ერები არიან. უკრაინა ხომ ხელოვნურად შექმნილი სახელმწიფოა, რომელიც საბჭოთა კავშირის პერიოდში ჩამოყალიბდა?**

— დიახ, ასეა. უკრაინელები, ბელორუსები, პოლონელები, რუსები სლავური ერებია და ერთნი არიან, დიდად არც ენობრივად განსხვავდებიან. რელიგიური თვალსაზრისით, უკრაინელებიც და რუსებიც ერთმორწმუნე მართლმადიდებლები არიან. კიევის



რუსეთი — ასე ეწოდებოდა ადრე უკრაინას. შემდგომ, მისი რუსეთთან მიერთებისა თუ შეერთების საკითხი გადაწყდა. ანუ, სლავური ხალხების ერთ სისტემაში გაერთიანება.

უკრაინის სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაში მთავარი როლი ლენინმა, მოგვიანებით კი სტალინმა ითამაშა. ტერიტორია რომელიც უკრაინას ამჟამად აქვს, მათ შეუქმნეს. საბჭოთა კავშირი მაშინ ერთიანი იყო, საზღვრები არ გახლდათ. ისინი, არც კი ფიქრობდნენ, რომ ოდესმე, საზღვრების საკითხი დადგებოდა და რომელიმე ქვეყანა გამოეყოფოდა. უკრაინას ის ტერიტორიები მისცეს, რაც მანამდე რუსეთის იყო. ამ უკანასკნელმაც სხვებს წაართვა. ომის შემდგომ უკრაინის გაძლიერებაში დიდი როლი სტალინს მიუძღვის. ყირიმისათვის რუსეთმა არაერთი ომი გადაიტანა. ამ ტერიტორიისთვის იბრძოდა ოსმალეთიც. ყირიმით, ასევე, დაინტერესებული იყო საფრანგეთი, ბრიტანეთი და გერმანია, რომელიც თურქეთს თავის მოკავშირედ მიიჩნევდა. მათ ერთნაირი ხედვა ჰქონდათ. ამ პერიოდში თურქეთმა ეს ტერიტორია დაიპყრო, რომელიც თავის დროზე არც მისი არ იყო. დღევანდელ სიტუაციას თუ განვიხილავთ, ყირიმი რუსეთისაა. ოღონდ, ამ შემთხვევაში, რუსეთმა ეს ტერიტორია კი არ დაიპყრო, არამედ დაიბრუნა. ეს ისე მოხდა, რომ უკრაინასა და რუსეთს შორის ომი არ გაჩაღებულა. მანამდე, 1954 წელს, ხრუშჩოვმა ყირიმი, პირდაპირ, უკრაინას აჩუქა. ეს იმიტომ გააკეთა, რომ საბჭოთა კავშირი ერთიანი იყო და სახელმწიფოების ცალკე გასვლის საკითხი არ იდგა. სანაცვლოდ, რუსეთს უკრაინამაც მისცა ტერიტორიები, გაცვლა მოხდა. ვითარება 1997 წლიდან რთულდება. ეს, უკვე, ელცინის პერიოდია. უკრაინამ, ბელორუსიამ და რუსეთმა საბჭოთა კავშირი შექმნეს და მერე, თავად დაშალეს. 1997 წლამდე უკრაინა-რუსეთის ურთიერთობა ძალიან კარგი იყო. მეტიც, 1997 წელს ელცინმა უკრაინასთან სამხედრო-ეკონომიკურ ურთიერთობას მოაწერა ხელი, რაც ხარკოვის ხელშეკრულებით არის ცნობილი. რუსეთმა უკრაინას სამხედრო ბაზები დაუკანონა, რომელიც მისი იყო, მაგრამ რადგან ხელშეკრულება დაიდო დაკანონდა კიდეც. საკითხი ასე იდგა: უკრაინა ნეიტრალური სახელმწიფო უნდა ყოფილიყო.

**— ვის აწყობდა უკრაინასა და რუსეთს შორის ურთიერთობის დაძაბვა?**

— მოგახსენებთ. მაშინ, რუსეთსა და უკრაინას შორის განხეთქილების შეტანაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი აშშ-მ ითა-



მაშა. უკრაინა, ამ დროს სტრატეგიულად ძლიერი იყო არამარტო ევროპისთვის, არამედ ამერიკისთვისაც. დღეს რთული ვითარებაა. პრეზიდენტ ზელენსკის პოლიტიკურ თემებზე არასდროს უმუშავია. იგი დასმული პრეზიდენტი გახლავთ იმისთვის, რომ გარკვეულმა ქვეყნებმა თავიანთი ინტერესები დაიკმაყოფილონ.

რუსეთს სურს ენერგეტიკული სწრაფვით ძველი მოცემულობა განიმტკიცოს — დონეცკი, ლუგანსკი და ყირიმი. დონეცკი და ლუგანსკი ცალკე ადმინისტრაციული ერთეულებია, რომლებიც რუსეთთან, არაოფიციალურად, ფედერალურ მდგომარეობაში არიან — პირდაპირ რუსეთს არ ემორჩილებიან, მაგრამ მისი გავლენის ქვეშ არიან. რაც შეეხება ყირიმს, იგი, მთლიანად, რუსეთის განკარგულებაშია. რუსეთს ან რაღაც უნდა დაუთმო ან იგი, ყოველივეს თავისი ენერგეტიკით გადაწყვეტს. დავუბრუნდეთ, „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ს. ამით გერმანიაც არის დაინტერესებული. მას და რუსეთს, თავის დროზე, ნიკოლოზ II მმართველობისას კარგი ურთიერთობები ჰქონდათ, მაგრამ მერე, გაურთულდათ. ახლა, კარგი ურთიერთობა აქვთ. გერმანიას ეკონომიკური დამოუკიდებლობა უნდა, რაც რუსეთზე გადის და არა ამერიკაზე.

**— ამერიკას „ჩრდილოეთის ნაკადი-2“ არ აწყობს, ხომ?**

— დიახ, არ აწყობს იმიტომ, რომ მას თავისი გაზი — ფიქალი აქვს, რომელიც ორჯერ მეტი ღირს. ამერიკას სურს ფიქალი რომელიც არავის არ უნდა, გაასაღოს და ევროპას მისცეს. „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ის ევროპაში შემოსვლით, აშშ საწადელს ვეღარ მიაღწევს — თავის ფიქალს ვერც უკრაინას აძლევს და ვერც ევროპის სხვა ქვეყნებს. ფაქტობრივად, გაზის საკითხი დასრულებულია, ხელშეკრულება დადებულია. მეტსაც გეტყვით: არსებობს საიდუმლო ხელშეკრულებებიც. ოქმს თავისი საიდუმლო მუხლები აქვს. მისი შეცვლა გამორიცხულია. დიახ, „ჩრდილოეთ ნაკადი-2“-ის შეთანხმებას დართული აქვს საიდუმლო ოქმი, რაც სავარაუდოდ, აღმოსავლეთ-ევროპაში გავლენების გადანაწილებას მოიცავს. ეს გადანაწილება „ჩრდილოეთ ნაკადი-2“-ის საშუალებით უნდა მოხდეს. ანუ, „ენერგეტიკული ომით“. ეს მნიშვნელოვანია. სხვათა შორის, პოლონეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ამ შეთანხმებას მოლოტოვ-რიბენტროპის თანამედროვე აქტი უწოდა. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: რუსეთმა შეძლო, სწორედ ამ სიტუაციისთვის, საფრანგე-



თი და გერმანია ჩამოეშორებინა. დიახ, პუტინმა შეძლო ისინი თამაშიდან გამოეთიშა, რაც ამერიკელებმა წამოიწყეს. აქვე, ისიც უნდა გითხრათ, რომ საფრანგეთი წინასაარჩევნო ბრძოლაშია ჩაბმული. ამიტომ, მას რეალურად, რუსეთთან საბრძოლველად არც დრო აქვს და არც რესურსი.

**— ბატონო იგორ, ორი სახელმწიფოს დაპირისპირებაში ვინ მოიაზრება უკრაინის დამცველად და ვინ დგას რუსეთის გვერდით?**

— უკრაინის გვერდით დგას აშშ და დიდი ბრიტანეთი. შეიქმნა დასავლური ალიანსი, რომლის სათავეში დგას ლონდონი, კიევი, ვარშავა. ნუ, ამერიკა, თავისთავად. ამ სიტუაციაში ერთად არიან რუსეთი, ჩინეთი და ბელორუსია. სამყარო სამპოლარული წესრიგისკენ მიდის. ახალ მსოფლიო წესრიგში წარმოჩენილია რუსეთი, ამერიკა და ჩინეთი. ამ პერიოდში სამხედრო ბლოკად ჩამოყალიბდა



ამერიკა, ბრიტანეთი და ავსტრალია. მეოთხეა ნატო. ერთი მხრივ, ერთად დგანან: ამერიკა, ბრიტანეთი, პოლონეთი და ნატო, ხოლო მეორე მხრივ, რუსეთი, ჩინეთი და ბელორუსი. ისინი, ორ დაპირისპირებულ ბანაკს წარმოადგენენ.

**— როგორ ფიქრობთ, ამერიკა, უკრაინის გამო, რუსეთთან ომს დაიწყებს?**

— რა თქმა უნდა, არა, ეს გამორიცხულია. საქმე ისაა, რომ რუსეთი უკრაინის საზღვრიდან, 250 კილომეტრის მოშორებით, წვრთნებს აწარმოებს. დღევანდელი ტექნიკისთვის, ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. მაგრამ საინტერესო შემდეგია: 10–20 კილომეტრში კონცენტრირებულია რუსეთის სამხედრო ტექნიკა, 100–150 ათასი ჯარისკაცი. ამ კონტიგენტით რუსეთის უკრაინაში შეჭრა გამორიცხულია. თავად უკრაინის შეიარაღებული ძალები 225 ათას ჯარისკაცს შეადგენს. აქედან, 120 ათასი ჯარისკაცი კონცენტრირებულია დონეცკში და ლუგანსკში. ეს ხომ სეპარატისტული რესპუბლიკებია. ამიტომ, ჯარს იქედან ვერ მოაშორებენ. უკრაინას შეუძლია საყოველთაო მობილიზაცია



გამოაცხადოს, რაც დაახლოებით, 450 ათას კაცს წარმოადგენს. ბუნებრივია, ამის გაკეთება შესაძლებელია. გორში მობილიზაცია მიშამაც გამოაცხადა, მაგრამ როგორც კი ომი დაიწყო რეზერვისტები დაიფანტნენ.

**— საბოლოოდ, როგორ გადაწყდება ეს საკითხი. ვამბობთ, რომ ომი არ იქნება, მაშინ რას აპირებს რუსეთი?**

— რუსეთმა შესაძლოა ხერსონი, ოდესა და ნიკოლაევი დაიკავოს. ამის, რეალური საშიშროება არსებობს. ეს ქალაქები, ამჟამად, უკრაინის შემადგენლობაშია. რუსეთი ამ ქალაქებს პირდაპირ დაიკავებს და მერე, მოლაპარაკებებს დაიწყებს. იგი, ხარკოვისა და დნეპროპეტროვსკის პლაცდარმს შექმნის. ანუ, ზემონახსენებ ქალაქებს სეპარატისტულ რეგიონებად გამოაცხადებს. ლუგანსკს და დონეცკს ეს ტერიტორიებიც მიემატება. იქ, ბევრი რუსული მოსახლეობაა. სწორედ ამის შემდეგ შეიძლება უკრაინაში ხელისუფლებაც შეიცვალოს და იგი ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოცხადდეს. რუსეთს აწყობს, რომ უკრაინამ ნეიტრალიტეტი გამოაცხადოს. ასე, რომ რუსეთმა რაღაც უნდა მოიგოს, სხვაგვარად არ შეიძლება. მაგრამ ის, რომ რუსეთი უკრაინაში ომს გაშლის, ეს წარმოუდგენელია. მას უნდა მომგებიან მდგომარეობაში ჩადგეს, რათა შემდეგ, მოლაპარაკებები აწარმოოს. ანუ, მას უნდა უკრაინა ნეიტრალური ქვეყანა გახდეს.

რუსეთმა გაზის საშუალებით, მოლდოვა დააჩოქა. მსგავსის გაკეთება უნდა უკრაინაშიც და საქართველოშიც. საქართველო უკვე დაყოფილია სამ ნაწილად — აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთი რუსეთის არის. მას უნდა რომ ნატოს ჯარები ამ ტერიტორიებზე არ შემოვიდეს და ნეიტრალურ ქვეყნად გამოგვაცხადონ, რაც რუსეთს აწყობს, მაგრამ არ აწყობს ამერიკას. ეს მნიშვნელოვანია.

**— დასავლეთმა რუსი რუსს მიუქსია. თავად, ამბობს: ჩვენ არ ვერევითო, მაგრამ თან უკრაინას აიარაღებს. ეს რას ნიშნავს?**

— უკრაინაში ერთი ამერიკელი ჯარისკაციც რომ მოკვდეს, ეს, მისთვის, ტრაგედია იქნება. ასეთ სიტუაციაზე სასტიკად რეაგირებენ. რაც შეეხება შეიარაღებას, ასე იყო აფხაზეთის ომშიც — ამერიკა ერთ მხარესაც აძლევდა იარაღს და მეორესაც. აქ, ლაპარაკია შემდეგზე: ამერიკა, პირდაპირ, ომში არ ჩაერევა, მაგრამ შეიძლება მოხალისეების გაგზავნა მოხდეს. დიდ ქვეყნებს მოხალისეები ყველას ჰყავს.

**— დასავლეთი 90-იან წლებშიც გვეუბნებოდა: რუსეთისგან გაგათავისუფლებთო, მაგრამ მერე, მიგვატოვეს. პრეზიდენტი**

8 გვ. →

# გეოპოლიტიკური ვეფხვები ნახტომისთვის ემზადებიან

*გვესაუბრება პოლიტიკის ანალიტიკოსი სოსო მანჯავიძე:*



**— ბატონო სოსო, უკრაინის გარშემო შექმნილი ვითარება ცალსახად უნდა განვიხილოთ, როგორც რუსეთ-ამერიკის კონფლიქტი?**

— ამ ვითარებაში ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ დაპირისპირება ჩინეთსა და აშშ-ს და აშშ-სა და ირანს შორის უფრო და უფრო მწვავე ფაზაში გადადის. ყველას გვესმის, რომ, დღესდღეობით, ჩინეთსა და შეერთებულ შტატებს შორის დაპირისპირება არის გლობალური გეოპოლიტიკის ცენტრალური საკითხი. ამ ორ გიგანტს შორის დაპირისპირების კერაა ტაივანი. იმ შემთხვევაში თუ ჩინეთი დაიბრუნებს ტაივანს, მის ხელში აღმოჩნდება კონტროლი მთელ უზარმაზარ რეგიონზე ალასკადან ავსტრალიამდე და მსოფლიოში ძალთა განლაგება მკვეთრად შეიცვლება ჩინეთის სასარგებლოდ.



დროის განმავლობაში ირანიც საკმაოდ გაძლიერდა. ის პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენს ამერიკელების ჰეგემონიისთვის აღმოსავლეთში. იგი საფრთხეა ისრაელისთვისაც. აქვს სერიოზული შეიარაღება. ირანმა შექმნა საკმაოდ ეფექტური ფლოტიც, რომელიც უკვე პრობლემებს უქმნის აშშ-ის შეიარაღებულ ძალებსა და ფლოტსაც კი. ცხადი ხდება, რომ ირანს ვერ გაანადგურებენ ისე, როგორც თავის დროზე ერაყი გაანადგურეს.

მას შემდეგ, რაც ტრამპის პრეზიდენტობისას შეერთებული შტატები გავიდა ირანთან დადებული ატომური ხელშეკრულებიდან, ისლამურ რესპუბლიკაში შეუწყვეტლად მიმდინარეობს ურანის გამდიდრება. შეიძლება ითქვას, რომ ირანი ატომური ბომბის შექმნის ზღურბლზეა, რასაც სავარაუდოდ, არ დაუშვებს ისრაელი, რომელიც პრევენციული დარტყმებით იმუქრება ვენაში მიმდინარე მოლაპარაკებების უშედეგოდ დამთავრების შემთხვევაში.

რაც შეეხება რუსეთს, ეკონომიკის, ჯარების მოცულობის, უახლესი ტექნიკის და ტექნოლოგიების თვალსაზრისით, რუსეთი ვერ წარმოადგენს საპირწონეს კოლექტიური დასავლეთისთვის, მაგრამ თუკი შეძლებს სწორ პოზიციონირებას, ჩაითვლება ანგარიშგასაწევ, მთავარ ძალად დასავლეთთან დაპირისპირებულ ჩინეთ-რუსულ-ირანულ სამკუთხედში. უკვე ფაქტია, რომ დასავლეთთან მიმართებაში რუსეთი ეფექტურად იცავს საკუთარ ინტერესებს. უკრაინის მიართ რუსეთი ჩინურ-ამერიკული და ირანულ- ამერიკული დაპირისპირების ფაქტორების გათვალისწინებით მოქმედებს.

**— ეს ნიშნავს, რომ აშკარად იკვეთება რუსეთის კავშირი ჩინეთთან?**

— რუსეთ-ჩინეთს შორის დიდი ხანია დამყარებულია სტრატეგიული კავშირი, რაც კიდევ უფრო ფართო პერსპექტივებს ითვალისწინებს. რუსეთი ეხმარება ჩინეთს გლობალური ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების შექმნაში. ვგულისხმობ, აეროკოსმიურ ტექნოლოგიებს, რომლებიც მხოლოდ ორპოლუსიანი სამყაროს მემკვიდრეებს — აშშ-ს და რუსეთს გააჩნიათ. ამას გარდა, რუსეთი აღრმავებს ჩინეთთან პარტნიორობას ენერგომატარებლების მიწოდების სფეროში, ეს უკანასკნელი კი აფინანსებს რუსეთის გაზგამანაწილებელ ქსელს. „ციმბირის ძალა-1“-ის



გარდა, მალე ჩადგება მწყობრში „ციმბირის ძალა-2“ და „ციმბირის ძალა-3“. წარმოიდგინეთ, თანამშრომლობის რა მასშტაბებზეა საუბარი. უფრო და უფრო იზრდება სავაჭრო ბრუნვა ჩინეთსა და რუსეთს შორის. ამას ემატება ისიც, რომ, სხვა ქვეყნებთან ერთად, ზემოხსენებული სამკუთხედიც აღარ მალავს განზრახვას და აპირებს, თავი დააღწიოს დოლარის ფედერალური რეზერვის ე.წ. იამაიკურ მონეტარულ სისტემას, რისი განხორციელებაც აშშ-სთვის სრული კრახი იქნება.

ჩინეთმა დადო შოკისმომგვრელი სტრატეგიული ხელშეკრულება ირანთან, სადაც საუბარია 400-მილიარდიან ინვესტიციაზე 15 წლის განმავლობაში.

ირანის ისლამური რესპუბლიკის ხისტი პოზიციის მქონე ახალი პრეზიდენტი იბრაჰიმ რაისი რუსეთს ეწვია და სიტყვითაც გამოვიდა სახელმწიფო დუმაში. ისაუბრეს უახლესი რუსული საავიაციო ტექნიკის შეძენაზე და ჰაერსაწინააღმდეგო სისტემების მიწოდებაზე. ეს ყველაფერი კი სრულიად ცვლის ახლო აღმოსავლეთის შეიარაღების და ძალთა განლაგების ლანდშაფტს. საუბარია რუსეთიდან დაახლოებით 10 მილიარდი დოლარის ღირებულების იარაღის შესყიდვაზე.

***— რა გავლენას მოახდენს მთელი ეს სქემა უკრაინაში არსებულ ამჟამინდელ დაძაბულობაზე?***

— გავიხსენოთ, როგორ დაიწყო რუსეთ-უკრაინას შორის დაძაბულობა. რუსეთმა მოითხოვა წერილობითი გარანტიები, რომ ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურა დაუბრუნდებოდა 1997 წლის მდებარეობას. აშშ-ის ადმინისტრაცია კი ისე პოზიციონირებს, რომ აშკარად სურს, შეინარჩუნოს ჰეგემონია, რასაც, სინამდვილეში, არავითარი პერსპექტივა არ გააჩნია, რადგან ამ პროცესში ყველა შემდგომი სვლა ამძიმებს სიტუაციას. მოკლედ რომ ვთქვათ, უკრაინის საკითხი ისევ და ისევ ემიჯნება ნატოს და რუსეთს. ეს უკანასკნელი ითხოვს საბჭოთა კავშირის დაშლის დროს დაფიქსირებული საზღვრების დაცვას. რუსეთი ამერიკელებს მაშინდელ დათქმულ პირობას ახსენებს: არც ერთი დიუმით არ წავიწევთ წინ, ანუ ნატო არ გაფართოვდება აღმოსავლეთითო. ამის მიუხედავად, ნატომ ისარგებლა რუსეთის მძიმე მდგომარეობით; შესაბამისად, როგორც კი შესაძლებლობა მიეცა, რუსეთმა დაიწყო გაფართოება და გლობალური



პოზიციონირება მემკვიდრეობით მიღებული იმპერიული ინსტრუმენტების გამოყენებით. დღესდღეობით რუსეთი არის უშიშროების საბჭოს წევრი, მას გააჩნია ძალიან ძლიერი საგარეო-პოლიტიკურსადაზვერვო უწყებები და, რაც მთავარია, აქვს ბირთვული ტრიადა, რაც ერთგვარ კომპენსაციას უწევს მისი ეკონომიკის სიმცირეს აშშ-სა თუ ჩინეთთან მიმართებაში. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩრდილოური იმპერია მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვეყანაა კოლოსალური რესურსების და წიაღისეულის მხრივ. იქ ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლეობის პროცენტნახევარი და მის ხელშია პლანეტის რესურსების, სულ მცირე, 45%. ყველაფერი ეს კრემლს აძლევს საშუალებას, თავი იგრძნოს მყარად, მით უმეტეს, პოლიტიკური თვალსაზრისით, რადგან კარგად ხედავს, რომ ტექტონური შიდაპოლიტიკური ცვლილებების წინაპირობები არ ჩანს. შესაძლოა, იდეალისტებს მოეჩვენოთ, რომ რუსეთში შეიძლება არეულობა დაიწყოს, მაგრამ ვინც კარგად ერკვევა სიტუაციაში, ხედავს, რომ მსგავსი არაფერი ხდება.

**— ამბობენ და ასეც ჩანს, რომ უკრაინაში ომი დღეს აშშ-ს უფრო აწყობს, ვიდრე რუსეთს...**

— რაც უნდა პარადოქსად მოგეჩვენოთ, ყველაზე მეტად ვისაც ხელს არ აძლევს ომი უკრაინაში, ესაა რუსეთი, ვინაიდან თუ თავად გამოვა ომის ინიციატორი, შესაბამისად, თავად გახდება პასუხისმგებელი, საერთაშორისო სამართალი კი ისეა მოწყობილი, რომ ომის დამწყები მხარეა პასუხისმგებელი ომის შედეგებზე. ცხადია, რუსეთს ომი არ უნდა, მისთვის მნიშვნელოვანია, მოახდინოს უკრაინის პოლიტიკური დესტაბილიზაცია, რასაც ხელს უწყობს თავად უკრაინის სრულიად კორუმპირებული და კომიკური პოლიტიკური ველი პრეზიდენტითა და მისი წარმოუდგენელი ადმინისტრაციით. სპეციალურად ვერ მოიფიქრებ ამ ხალხის პოლიტიკაში შეყვანას, თუ ქვეყნის დანგრევა არ გინდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ პოროშენკოს, რომელიც პირდაპირ ძარცვავდა უკრაინას და არაფერზე უგია პასუხი, მით უმეტეს, რომ მან დაანგრია ქვეყნის ეკონომიკა, მიიყვანა უკრაინა სრულ პოლიტიკურ თუ სამხედრო კატასტროფამდე კორუფციის უამრავი დამტკიცებული ქეისით, რასაც უსირცხვილო ურა-პატრიოტული დემაგოგიით ფარავდა, დღეს ისევ მოგვევლინა იგივე ლოზუნგებით და კვლავ აღმოჩნდა უკრაინის პოლიტიკურ ველზე. აღარაფერს ვამბობ სხვა აქტორებზე, რომლებსაც იგივე სჭირთ და ვისზეც ბევრის თქმა შეუძლია ადეკვატურად მოაზროვნე უკრაინის საზოგადოებას. . . არადა, უკრაინა ევროპის ყველაზე დიდი (ტერიტორიულად) სახელმწიფოა, მრავალრიცხოვანი განათლებული, ერუდირებული, ინტელექტუალური, პასუხისმგებლიანი მოსახლეობით. იგი უმდიდრესი ქვეყანა იყო დასავლეთში ინფრასტრუქტურით, უძლიერესი მრეწველობით, წარმოუდგენლად დიდი რესურსების მქონე სოფლის მეურნეობით. შეგახსენებთ, რომ უკრაინის შავმიწანიადაგიანი ზოლი აბსოლუტურად უნიკალურია მთელ პლანეტაზე. ამ უდიდესი პოტენციალის ქვეყანაში, დამოუკიდებლობიდან 30 წლის თავზე, მიაღწიეს დეპოპულაციას. სხვადასხვა გათვლით, იქ 30–32 მილიონი ადამიანიღა დარჩა, ახალგაზრდობა გარბის და მთელ მსოფლიოშია მიმოფანტული, მიმდინარეობს გამალებული დეინდუსტრიალიზაცია, უზარმაზარი მასშტაბების კორუფცია და ბიუჯეტის ძარცვა. ეს არის უკრაინა — დღეს. რუსეთისთვის, რომე-

8 გვ.



# რუსები და უკრაინელები სლავები არიან...

6 გვ.

**როცა მოგვიკლეს, მათ ხმაც არ ამოუღიათ. ახლა, რუსეთს სანქციებით ემუქრება, უკრაინას კი აიარაღებს.**

— 200 მილიონი დოლარი დიდი თანხა არ არის, თან ფულად კი არ მისცეს, იარაღი გამოუყვეს. რაც შეეხება რუსეთის დაშინებას ეკონომიკური სანქციებით, სიმართლე გითხრათ, ეს მისთვის არც ადრე იყო დამანგრეველი და არც ახლა იქნება. იმიტომ, რომ ეკონომიკური სანქციები, თავისთავად, მერე იმ ქვეყანას ემუქრება, რომელიც ამას აწესებს. ორ ქვეყანას შორის ბიზნესი არსებობს. როგორც კი რუსეთს ეს ბიზნესი შეუწყდება, ამერიკაც ხომ დაკარგავს თანხას. სხვათა შორის, პირიქით, ეკონომიკური სანქციებით რუსეთი გაძლიერდა. საინტერესოა, ხომ. დიახ, რუსეთი სანქციებმა კი არ დაასუსტა, პირიქით, გააძლიერა იმიტომ, რომ მან თავისი საწარმოები, საფინანსო სტრუქტურები შექმნა, ბიზნესი განავითარა. სანქციები დამანგრეველი იქნებაო, ემუქრებიან. ვიმეორებ, ნგრევას მხოლოდ რუსეთი არა, სანქციის დამწესებელი ქვეყანაც იწვნევს. რუსეთს სანქციით ვერ დაშლი. აქვე, ძალიან მაკვირვებს ბაიდენის გამონათქვამები. ალბათ, არ ზომავს. პრეზიდენტისთვის ასეთი განცხადებები — უკრაინის ტერიტორიაზე ნახევრად შეჭრა და სხვა, მიუღებელია. ზელენსკის უკვე ეშინია და ამბობს: რუსეთს სანქციები ახლავე დაუწესეთ, თუ შემოიჭრა და დამამარცხა მერე რაღად მინდაო. სანქციებს წინასწარ ვერ დააწესებენ. ზემოთ, უკრაინის ხელისუფლების შეცვლა ვხსენე. რუსეთს უკვე ჰყავს თავის კანდიდატურები. ეკონომიკური, პოლიტიკური ზეწოლებით, რუსეთს შეუძლია უკრაინის მოსახლეობა იმ დონემდე მიიყვანოს, რომ სახელმწიფო გადატრიალება მოხდეს და არჩევნები დაინიშნოს. რუსეთი შეძლებს მმართველობაში თავისი კაცი გაიყვანოს. ეს, ამ ურთიერთობებში, დამამშვიდებელი ფაქტორი იქნება. ხალხი ამაზე წავა, რადგან მათ მშვიდობა უნდათ. როგორც ირკვევა, საიდუმლო წერილის თანახმად, რომელიც ამერიკამ რუსეთს გაუგზავნა, გადაწყვეტილია: თუ რუსეთი უკრაინაში არ შეიჭრება, ამის სანაცვლოდ „ჩრდილოეთის ნაკადი-2“-ს გზა გაეხსნება და მისი ოფიციალურად აღიარება მოხდება.

**— ბატონო იგორ, ბოლოს მინდა რეზოლუციაზეც გკითხოთ, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ გაავრცელა. ოპოზიცია ბობოქრობს: ტექსტში რატომ არ ჩაწერეს რუსეთი ოკუპანტიაო. თქვენ, რა მოსაზრება გაქვთ?**



— მოგახსენებთ. ქართულ ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრში წარმოიშვა აბსურდული მოსაზრება: თითქოს, საქართველოს ხელისუფლება უკრაინაში მიმდინარე პროცესებს ჯეროვნად არ ეხმაურება. დიახ, გაჰყვირიან: თავად რეზოლუციაში, რომელიც ხელისუფლებამ შეადგინა, სიტყვა რუსეთი ნახსენები არ არისო და ოპოზიცია ამას შეცდომად მიიჩნევს. გულახდილად გეტყვით: ძალიან მიკვირს, რატომ არ გააჩნიათ პარლამენტში მყოფ ოპოზიციის წარმომადგენლებს არავითარი პოლიტიკური განათლება და დიპლომატია. ამ შემთხვევაში, ხელისუფლებას, ცალსახად, ვეთანხმები: მაშინ, როცა ამ საკითხზე ამერიკის, გერმანიის, საფრანგეთის პოზიცია ცნობილია, საქართველო თეთრ ყვავად რატომ უნდა გამოჩნდეს?! მაინცდამაინც ისეთი რეზოლუცია უნდა გავგზავნოთ, რომ მერე, ბუმერანგივით უკან შემოგვიტრიალდეს?

**თამარ შველიძე**
555 23 28 24





# გეოპოლიტიკური ვეფხვები ნახტომისთვის ემზადებიან

7 გვ.

ლიც შედარებით მდგრადია პოლიტიკურად, ომი სრულიადაც არ არის აუცილებელი იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინელ პოლიტიკოსებს შორის დიდი განხეთქილებაა, რასაც აკავებს სწორედ ამ ომის საფრთხე და ურაპატრიოტიზმი. ცხადია, რუსეთი შეეცდება ამ სიტუაციის გამოყენებას და ყველა მხრივ შეუწყობს ხელს არსებული შიდა დესტაბილიზაციის გაღრმავებას. ამასთან, არაფრით დაუშვებს ნატოს სამხედრო ინფრასტრუქტურის განთავსებას საკუთარ საზღვრებთან ახლოს. შესაძლოა, იქ ჯარები არ შეიყვანოს, მაგრამ რაკეტებით დაარტყამს, ანუ გააკეთებს იგივეს, რასაც ამერიკა ყველგან აკეთებს, როდესაც მის ინტერესებს საფრთხე ემუქრება.

ეს არის გეოპოლიტიკური ვეფხვების, გამოცდილი აქტორების საუკუნეობრივი ბრძოლა, რომელიც განსაკუთრებით გამწვავდა გლობალიზაციის ეპოქაში.

— **სიტუაციის განმუხტვა როგორ წარმოგიდგენიათ?**

— რთულია იმის წარმოდგენაც კი, რას, რატომ და რის სანაცვლოდ გააკეთებენ. უკრაინაში კონფლიქტის დასარეგულირებლად, შესაძლოა, ისეთ ქვეყანაში მოხდეს ცვლილება, ტერიტორიულად ახლოსაც რომ არ არის. ჩინეთზე როდესაც ვსაუბრობთ, უმნიშვნელოვანეს პრობლემად ჩანს ტაივანი. უკრაინაზე ფოკუსირებული საზოგადოება კი ვერც კი წარმოიდგენს, რომ ჩინეთ-აშშ-ს შორის არსებული ეს საკითხი აქ რამე კავშირში იყოს. ახლა მთავარია, რა პოზიციას დაიკავებს რუსეთი ამერიკულ-ჩინურ დაპირისპირებაში და რაზე გააკეთებს აქცენტს, ან რას მოითხოვს, მაგალითად, ინდოეთი ან პაკისტანი... მოკლედ, გლობალური გადანაწილების თვითმხილველები ვხდებით, რის გამოც ჯერ ვერავინ გააკეთებს ზუსტ პროგნოზს.

— **ამ სიტუაციაში ჩვენი ბედი როგორია?**

— საქართველოს საკითხი რთულად არის. „3+3“ ფორმატი, რომელსაც ჩვენი რომანტიკულად განწყობილი სუბიექტები არასერიოზულად აღიქვამენ, ჩვენთვის მძიმე რეალობაა. საქართველოს მთავრობას აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა პირდაპირი ტექსტით აუკრძალა ამ ფორმატში მონაწილეობა, რასაც კელი დეგნანი ყოველდღე აჟღერებს. მეორე მხარეს ადგილობრივი გეოპოლიტიკური აქტორები — რუსეთი, თურქეთი და ირანი დგანან. რუსეთმა და თურქეთმა მოგვიწოდეს, მიგვეღო ამ ფორმატში მონაწილეობა. საქართველო ცდილობს გარკვეული გარანტიების მიღებას. ჩვენი ხელისუფლება არ არის თვითმკვლელი და არც ისეთი გულუბრყვილო, ვერ აღიქვამდეს და აფასებდეს მიმდინარე პროცესებს, უბრალოდ, მანევრირების საშუალება არ აქვს, იმდენად მოკლე თოკით ვართ დაბმული ამ გეოპოლიტიკურ დაფაზე.

— **რა გარანტიების მოთხოვნის საშუალებას გვაძლევენ?**

— ამის თაობაზე შარშან ვლაპარაკობდი და ახლაც გავიმეორებ: მოსალოდნელია, საუბარი გააქტიურდეს საქართველოს ფინანსურ ჰაბად გადაქცევაზე, სადაც გათვალისწინებული იქნება მსხვილი გეოპოლიტიკური მოთამაშეების ინტერესები. ეს ღიად გაჟღერდა, როდესაც როტშილდები ჩამოვიდნენ. თბილისის ზღვაზე და გონიოში მათი პატრონაჟით ხდება ეკონომიკური ზონების შექმნა, სადაც თავს მოიყრის დიდი ფინანსური კაპიტალი.

— **რაც იმას ნიშნავს, რომ ნატოში შევდივართ თუ? ბოლოს და ბოლოს რა ხდება ამ მიმართულებით?**

— ნატო ისედაც გამორიცხულია, ეს არის დიდი ტყუილი, მანიპულირება მიზნით,



რომ აკონტროლონ ქვეყნის ხელისუფლება. ქართველი ხალხი მიხვდა, რომ ნაყიდი, ანგაჟირებული საექსპერტო წრეების და ენჯეოების გარდა, ნატოზე არც არავინ საუბრობს, არავითარი ნატო არ „გვემუქრება“...

— **ჩვენი პრესა, რადიო-ტელევიზიები ასე არ ლაპარაკობენ...**

— დირექტივა აქვთ მიღებული, ამისთვის აჭმევენ და რა ჰქნან? სხვაგვარად რომ ილაპარაკონ, შეუწყვეტენ დაფინანსებას და ამით მორჩება საქმე. თუ ღიაა ნატოს კარი, რატომ არ შედიან? უკრაინასთან დაკავშირებით ვიტყვი, რომ, დაძაბულობის მიუხედავად, კონვენციური ომი არ იქნება, თუმცა სრულიად გამორიცხვაც შეუძლებელია, როდესაც საზღვართან კბილებამდე შეიარაღებული საჯარისო ნაწილები არის თავმოყრილი, მაგრამ დარწმუნებული მაინც ვერაფერში ვიქნებით, როდესაც რუსეთთან გვაქვს საქმე.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ბაკურიანის ტყისა და ივრის ჭალების საიდუმლო

## აიღე, გადაიფორმე, იყიდე, გაყიდე, გააქირავე, შენც ბიძინა ივანიშვილი ხომ არა ხარ, ააშენო, დარგო, გაარემონტო, ფული დახარჯო და მერე გააჩუქო?!



ავნოდარას გადაცემას ვუყურე ამ შაბათის წინა შაბათს („ტვ პირველი“), პრემიერის მეუღლე ტყეებს ანადგურებს და ჰიდრორესურსებს კატასტროფულად ამცირებსო!

ვუყურე რა, გავუძელ, ბოლოში მაინც ვერ გავედი, დავიღალე.

სიუჟეტებს ამზადებენ, იმის დეეე, მიდი და მოვდივარ... ჯერ მაგარ ზღაპრებს ყვებიან, მერე ანეკდოტებზე გადადიან, ბოლოს თავიანთივე მონაყოლში იბლანდებიან.

დავიღალე მეთქი... დადიან ე.წ. გამომძიებელი ჟურნალისტები, დადიან, დადიან და დადიან!

დაბოდიალობენ აღმა, დაბოდიალობენ დაღმა, სადარბაზოდან სადარბაზოში, კორპუსიდან კორპუსში, ხან ვის კარზე აკაკუნებენ,





ხან ვისაზე. არ უშვებენ, მაინც იწევენ, ურეკავენ, წუწუნებენ, თავისუფალ მედიას კარს არ უღებენ, აიგნორებენო.

ჰა, ჰა, ჰა... თავისუფალ მედიასო, იძახიან ავნოდარას მოწაფეები, თაღლით ჭუტას კანტორაში რომ ფეიკიორობენ.

ირაკლი ღარიბაშვილმა მთელი საქართველო მიიტაცაო, ტყეები ცოლს აჩუქაო, მდინარეებს სიდედრს უფორმებსო, ქედებს მეზობლებს ურიგებსო, გორაკებს – თანარაიონელებსო, საძოვრებს – კლასელებსო.

„სტაიანშიკს“ ეკითხებიან, რა აზრისა ბრძანდებით ამ საკითხზეო? ეჰ... სუყველაფერი მაგათია, აბა, მე ვინ რას მამცემსო? კომენტარია, მტკიცებულებაა, ქვას ხვრეტავს!

ნუნუკა თამაზაშვილმა ტყეები მიიტაცაო, აღარ დაგვრჩაო, სუ წაიღოო. ერთი ქალი გამოიყვანეს, თუ არ ვცდები, ადრე, შევარდნაძის დროს გარემოს დაცვის მინისტრი იყო, გვარად ჩხობაძე... ისაო, რაკი ბაკურიანში ნუნუკა თამაზაშვილმა ნახევარი ჰექტარი ტყე იჯარით აიღო, საქართველოში ჰიდრორესურსი შემცირდებაო. ამხელა ქალმა არ იცის, რომ იჯარა ვალდებულებებსაც გულისხმობს და გადასახადებსაც.

მეცინება, ჩხობაძე იყო მინისტრი... კომენტარს რომ აკეთებ, ჯერ ხომ უნდა გაარკვიო, პრემიერის მეუღლე ტყის გაკაფვას აპირებს თუ პირიქით, მოვლა-პატრონობას, საცალფეხო ბილიკების მოწყობას და ფანჩატრურების გაკეთებას? ჰიდრორესურსს დავკარგავთო, გაქრებაო... თან რაღაცნაირად ჩაეღიმღიმილა, იცოდა, სიცრუეს რომ ღაღადებდა, მაგრამ მაინც იღაღადა, ეგებ კვლავ მინისტრობა უნდებლარიენ და არ ნიშნავენ?!

პრემიერის ბინასაც მიადგნენ ვაკეში. დარეკა კარზე ე.წ. გამომძიებელმა ჟურნალისტმა. არავინ უპასუხა. ნახეთ, დამოუკიდებელ მედიას არ პასუხობენო, არადა ვალდებუნი არიანო. დიახ, ვალდებუნიიო, ანგარიში უნდა ჩააგვაბარონო. დაცვამ, მიბრძანდი აქედანო, სადარბაზოს კარი მოუხურა. ამან, ამ „დამოუკიდებელმა“ ჟჟჟუუურრრრნალისტმა, რას აკეთებთო? უი, ხელი დამრჩა შიგნითო... უი, ფეხიცო!

იყვირა, არ მოხურო, ფეხი შიგნით მაქვსო!

არ ჰქონდა შიგნით, გარედან აწვებოდა, რათა სიტუაცია დაეძაბა.

არაო, ხალხო, არაო... ნუნუკა თამაზაშვილი ტყეში, სავარაუდოდ, სათვალთვალო კოშკებს აწყობს, იქიდან უნდა გვითვალთვალოსო!

ნორმალური ადამიანი, რა თქმა უნდა, ამ სისულელეს არ დაიჯერებს!

თუმცა, სამწუხაროდ, არიან ისეთებიც, რომლებიც შეშფოთდებიან, თავებს გადააქნევენ და იტყვიან: ნწუ, ნწუ, ნწუ-ო!

სულ ნახევარი ჰექტარია, თანაც იჯარით და თანაც საქმისთვის. ესენი სანტიმეტრებში ანგარიშობენ, ასი ათასობით თუ მილიონობით სანტიმეტრი მიიტაცაო... იცით, ეს რამდენიაო? ბევრიო!

ამბობენ, აფრიკაში თუ სადღაც ერთი ტომია, სადაც სამზე მეტი თვლა არ იციანო. ერთი, ორი, სამი და მერე იძახიან, ბევრიო. ესენიც ეგრე არიან, ჭუტა ძიამ მეტი არ ასწავლა. პრინციპში, რაც თვითონ იცის, ის ასწავლა.

არა, მე უფრო იმ ნამინისტრალზე მეცინება, ნუნუკა თამაზაშვილი წყლის რესურსს შეგვიმცირებსო.

საღოლ, ჩემო ჯერაც გაუბრწყინებელო ივერიავ, კიდევ კარგად ხარ, ამნაირი მინისტრები რომ გყავდა!

ადამიანმა ააშენა სამება და ამათ იღნავლეს, რათაო? შემდეგ იმავე სამებაში შევიდნენ, გრძელი სანთლები დაიჭირეს და მწყაზარი გამომეტყველებით ლოცულობენ!

ადამიანმა ააშენა საერთაშორისო უნივერსიტეტი და ამათ იღნავლეს, რათაო? არ აშენებს, გვატყუებს, მანდ ჭაობიაო. შემდეგ კისრები მოიფხანეს, თურმე მართლა აუშენებიაო!

ადამიანმა დენდროლოგიური პარკი გააშენა და ამათ ისევ იღნავლეს, რათაო? ეგ კაცი ხეგლეჯიაა, ჰიდრორესურსებს ანადგურებსო. შემდეგ შეცვივდნენ პარკში და აუჰ, კაი რამე გაუკეთებიაო!

ადამიანს უნდა, რაღაც მსგავსი გააკეთოს და რათაო? არა, ეს პარკს კი არა, სათვალთვალო კოშკურებს აკეთებს, იქიდან უნდა დაგვაკვირდესო.

„სტაიანშიკმა“ დაადასტურა, მართლაც ეგრეა, აბა სხვანაირად როგორ იქნებაო? მე რო მინდოდეს, ერთ ჯირკსაც არ მამაჭრევინებენო. გაიგონეთ? არ მამაჭრევინებენო. ეს უბედური მოჭრაზე ფიქრობს, დარგვაზე არა!

ამ ქვეყანაში ეგეთი წესია... თუ რამე ნორმალურის კეთებას დაიწყებ, თუ ადამიანებს დაასაქმებ, თუ ხელს გაუმართავ, წამოგესევიან, გაგლანძღავენ, შენი სახლის გარშემო იწანწალებენ, კარზე კაკუნით აგიკლებენ, შეიძლება ღრიჭოში ფეხიც შემოყონ... საქმეს დაასრულებ და გაისუსებიან, იქ თქვენზე ადრე შეიძურწებიან, მადლობასაც არ იტყვიან, მზამზარეულს მიუჯდებიან.

●

დამიკავშირდნენ ადგილობრივი ფერმერები – ბიჭო, პრემიერ-მინისტრის მეუღლეზე ერთი ამბავი რომ ატეხეს, იცი, „თიბისის“ „ხანდაზმულ თაღლითს“ ხაზარაძეს 49-წლიანი იჯარით ივრის ჭალები რამდენი ჰექტარი აქვს გადაფორმებულიო? ვააჰ, რამდენი-მეთქი? 300 ჰექტარი იჯარით აქვს აღებული, 161 ჰექტარი საძოვარი კიდევ ფერმერებს წაართვა, სათიბში გადააყვანინეს, ანუ სტატუსი შეაცვლევინა და შეისყიდაო. ბადრი ჯაფარიძეც მაგ საქმეშიაო. სანამ ფულის გათეთრებაზე პრობლემები შეექმნებოდათ, სულ აქ ისხდნენ, ნადირობდნენ, დროს ატარებდნენო.



რატომ გადააყვანინეს სათიბში 161 ჰექტარი საძოვარი ივრის ნაპირებზე მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ? იმიტომ, რომ საძოვრების შესყიდვა აკრძალულია.

როდის მოხდა ეს ამბავი, როდის წაიღეს ხაზარაძემ და ჯაფარიძემ მთლიანობაში 461 ჰექტარი ივრის ჭალებში და მის მიმდებარედ? 2011 წელს – აგერ, ერთი წლით ადრე, სანამ „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდოდა. მოასწრეს ბიჭებმა, გადაიფორმეს, გალაღდნენ, საძოვრებს რომ მიანიჭებინეს სათიბის სტატუსი და „კაპეიკები“ გადაიხადეს. იცით, ვის ბალანსზე იყო ასეულობით ჰექტარი, რომელიც ამათ ჩაიგდეს ხელში შპს „ივრის რესურსების“ სახელით? ეს გახლდათ კახეთის სამეცნიერო-საცდელი სადგურის კუთვნილება და ექვემდებარებოდა წეროვანის მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს. როდესაც საბჭოეთი დაიშალა და მამუკა ხაზარაძემ კომკავშირის მდივნობა მიატოვა, იჯარით გადავიდა საცდელი სადგურის თანამშრომლებზე, შემდეგ... 2010 წელს მიხეილის ხელისუფლებამ იქ კონტროლის პალატა შეუშვა, ვერაფერი აღმოაჩინეს, მაგრამ ხელმძღვანელი მაინც დააპატიმრეს, ხაზარაძე-ჯაფარიძეს გზა გაეხსნათ.

კარგი, იყიდეს, იჯარით აიღეს, მაფიოზურად დაითრიეს თუ პატიოსნურად, ჯანდაბას, იქნებ რამე შექმნან, ადგილობრივებს სამუშაო ადგილები შეუქმნანო? – იტყვის ნორმალური ადამიანი და ხელსაც ჩაიქნევს, მაგრამ აქ საქმე სულ სხვანაირადაა – ამათ, ამ ბიზნესმენებმა, ამას წინებზე სასამართლომ თაღლითობაში რომ დაადანაშაულა, 161 ჰექტარი, თავის ფერმიანად აზერბაიჯანელ მეცხვარეებზე გააქირავეს. არ გაინტერესებთ, რამდენად? როგორც ადგილობრივები ამბობენ, წელიწადში 20 ათას ლარად. მერე იტყვით, მაგათ ამდენი ფული საიდან აქვთო? ეგე, აქედან (ვხუმრობ)!

ახლა პატივცემული „ამოცანა“ გვეკითხება, თუკი ამ ორმა ჯეელმა სიღნაღის რაიონის სოფლების მიმდებარე საძოვრები იყიდა და ივრის ჭალებიც ზედ მიაყოლა, როგორ ფიქრობთ, სხვა რაიონებში „განფენილ“ საძოვრებს სათიბში ვერ გადააყვანინებდა და ვერ იყიდდა? პატივცემულ „ამოცანას“ ვპასუხობთ: რა თქმა უნდა, ადამიანებს, რომლებიც ათეულობით მილიონ დოლარს ჭუტა წერეთლის დახმარებით ათეთრებდნენ, განა ასეთი იოლი საქმის მოკვარახჭინება გაუჭირდებოდათ? აქ სქემა მარტივია: აიღე, გადაიფორმე, იყიდე, გაყიდე, გააქირავე, შენც ბიძინა ივანიშვილი ხომ არა ხარ, ააშენო, დარგო, გაარემონტო, ფული დახარჯო და მერე გააჩუქო? არა, ძმაო, ეგრე სად არი? გააქირავე, გინდა აზერბაიჯანელებზე, გინდა – სომხებზე, გინდა – ავღანელებზე, გინდა – ირანელებზე, რა მნიშვნელობა აქვს, განა ფულს სუნი უდის? არა, კი უდის, მაგრამ ამათთვის არა, რადგან... როგორ გითხრათ, მაგალითად, მწეველები თამბაქოს სუნს ვერ გრძნობენ, ასე არიან ფულისტებიც, როცა სულ ფულის სუნი აგდის, ცუდსუნიანი ფულის სუნი აღარ გაწუხებს. მე მგონი, ამოცანა სწორად ამოვხსენი.

ხალხო, თქვენ ერთი რამ უნდა იცოდეთ: ამათ არც ნამუსი აქვთ, არც სინდისი, არც ადამიანობა, არც კაცობა, სხვას ისე დაადებენ ხელსა და ისე შეულახავენ ავტორიტეტს, თვალსაც არ დაახამხამებენ. ამ დროს თავად აქვთ უკანალები მოსვრილი და თავებიც არ გამოეყოფათ გარეთ.

გამოძიება გრძელდება, კიდევ ბევრ მზაკვრობას უნდა აეხადოს ფარდა. მადლობა ყურადღებისთვის.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

# მთავარი მოწმე

## პეტრე მამრაძე: ედუარდ შევარდნაძემ მითხრა – ეს ახალგაზრდები კი მოვლენ ხელისუფლებაში, მაგრამ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს დაკარგავენო

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სგ“ N3)

***„საერთო გაზეთი“ განაგრძობს ინტერვიუების ციკლს სახელმწიფო კანცელარიის ყოფილ უფროსთან, ორი მოწვევის ყოფილ პარლამენტართან, ბატონ პეტრე მამრაძესთან:***

**— ბატონო პეტრე, ჩვენი ინტერვიუ იქ შევწყვიტეთ, როცა ზურაბ ჟვანიამ შემოგჩივლათ, მიხეილ სააკაშვილი ძალიან საშიში პიროვნებააო. შემდეგ რა ხდება, როგორ ვითარდება მოვლენები, გამოდის, ჟვანიამ დასაწყისშივე იგრძნო საშიშროება, ხომ?**

— დიახ, ბატონმა ჟვანიამ იგრძნო, რომ ამ ადამიანს ზნეობრივი ღირებულებები არ გააჩნია. მე უკვე გითხარით, რაც სანდრო კავსაძის წინააღმდეგ ჩაიდინა, პარლამენტში გამოვიდა და ისეთი რაღაცები ილაპარაკა, სიმართლესთან ახლოსაც რომ არ იყო. პირიქით, ეს გახლდათ დიდი სიბინძურე. ამ ფაქტმა დაგვანახა, თურმე ამას იმ ადამიანის



დანდობაც კი არ შეუძლია, ვისაც დიდი ამაგი აქვს. უკვე გითხარით საშა ჩიკვაიძეზეც, როდესაც მან საგარეო საქმეთა სამინისტროდან გამოაგდო, სამ დღეში ისეთი პასკვილი გამოაცხო, ისეთი რაღაცები მოუგონა, ისეთი ცილი დასწამა, ყველა გაოგნებული დარჩა. აი, ამან ძალიან უარყოფითად იმოქმედა ზურაბ ჟვანიაზე და ამიტომაც თქვა ის, რაც თქვა.

**— ფაქტობრივად, ამ უჯიშომ კავსაძე გაწირა, გადააგდო, ბოლო მოუღო... ამას ჰქვია საშინელი უმადურობა, რაც ამ ქვეყანაში დამკვიდრდა კიდეც. თქვენ არ ეკითხებოდით სააკაშვილს, ასე რატომ იქცეოდა? უფრო სწორად, არ კიცხავდით?**

— არა, ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა, ვიცოდით, ის უარესად მოიქცეოდა, უბრალოდ ვითვალისწინებდით, რომ მისი ნდობა აღარ შეიძლებოდა. ზურას მასთან ამ თემებზე საუბარი ჰქონდა თუ არა, ნამდვილად არ ვიცი. მაგალითად, ედუარდ შევარდნაძე არასოდეს იყენებდა ცუდ სიტყვებს, აღარაფერს ვამბობ უწმაწურ გამონათქვამებზე... ერთხელ მის კაბინეტში ვართ, ჟვანია და სააკაშვილი გავიდნენ, დავრჩით მე და ბატონი ედუარდი. მან მითხრა ასეთი რამ: ნახე, პეტრე, როგორ ხდება ცხოვრებაში, ეს ჩვენი ზურიკო არც უჭკუოა, არც უნიჭო, მაგრამ როგორ არ ესმის, რომ ის ახალგაზრდა კაცი, გვარი არ დააკონკრეტა, ერთ მშვენიერ დღეს მას გამოიყენებს, როგორც ტუალეტის ქაღალდს და გადააგდებსო. მან ხელი ჩაიქნია და გადავიდა სხვა საკითხზე.

**— ვააა... ხედავთ, როგორ უგრძვნია? ეს ერთგვარი წინასწარმეტყველებაა. ბატონო პეტრე, გახსოვთ, ერთ-ერთი არჩევნების დროს შევარდნაძე რომ დადიოდა მოსახლეობაში და იძახდა, გაიცანით, მიხეილ სააკაშვილი თქვენი მომავალი პრეზიდენტიაო?**

— დიახ, მახსოვს.

**— თუ ბატონ ედუარდს ასეთი ცუდი წარმოდგენა ჰქონდა სააკაშვილზე, მაშინ რატომ აკეთებდა ამას, რატომ უკვალავდა გზას, ატყობდა, რომ სხვა გამოსავალი აღარ იყო და ჩაჰყვა?**

— შეიძლება ეს გარედან ცოტა რთული დასანახია, მაგრამ ვეცდები, მარტივად აგიხსნათ: შევარდნაძეს ყოველთვის ჰქონდა პრინციპი, თუ გუნდი ვართ და სანამ ერთად ვართ, მანამდე აუცილებლად უნდა დავიცვათ ერთიანობა. ეს ყველამ იცოდა.





სააკაშვილი მაშინ იყო მისი გუნდის წევრი, მან 1999 წელს იმუშავა შევარდნაძის საარჩევნო კამპანიაზე, მას უკვე ჰქონდა იმდენი რეიტინგი, რომ მოსახლეობის წინაშე გამოსულიყო. მახსოვს, ერთხელ განაცხადა: ნახეთ, რა თქვა ჯონ მაკკეინმა, მსოფლიო პოლიტიკაში ჩემი იდეალები არიან მარგარეტ ტეტჩერი და ედუარდ შევარდნაძეო. მაკკეინმა ასეთი რამ მართლა თქვა, ესენი ჩემთვის მრწამსის პოლიტიკოსები არიან, მათ აქვთ თავიანთი მრწამსი და მზად არიან, წავიდნენ ნებისმიერ საშიშროებაზეო. სხვათა შორის, ბატონი ედუარდი იყო უშიშარი ადამიანი.

**— არ ვიცი, დაგეთანხმოთ თუ არა ამ საკითხში, მაგრამ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებისას ეს დაამტკიცა, მისი მემკვიდრისგან განსხვავებით ცხვირით მიწა არ გადაუხნავს და არც ჰალსტუხი უჭამია.**

— არა მხოლოდ აფხაზეთში... მანქანაში რომ აგვაფეთქეს მთავრობის სახლთან, მე იქ ვიყავი, მაშინაც დაამტკიცა, რომ უშიშარი იყო.

**— თქვენ მანქანაში შევარდნაძესთან ერთად იჯექით, ხომ?**

— კი, მე ვიჯექი მძღოლის გვერდით, ასევე ჩვენთან იყო ვახტანგ რჩეულიშვილი. ახლა მინდა, კიდევ ერთი ფაქტი გითხრათ: სხვათა შორის, შევარდნაძე არასოდეს იყო მომხრე პარტიის შექმნისა, მას არ უნდოდა „მოქალაქეთა კავშირის“ დაარსება. ის იძახდა, მე უკვე ვიყავი ერთი პარტიის წევრი და ის დავშალეთ, ახალი აღარ მინდაო. ინიციატორი იყო ჟვანია და შემდეგ სააკაშვილი. ეს ის პერიოდია, როცა ომი იწყება აფხაზეთში, იქით სამოქალაქო დაპირისპირება ღვივდება, ისევ ჯაბა იოსელიანმა დაიწყო სიტუაციის გაკონტროლება, შევარდნაძეს პარტიისთვის არ ეცალა, ჟვანიას ეუბნებოდა, თუ გინდათ, შექმენით და თქვენვე მიხედეთო.

**— თუმცა ბიჭებმა ამ შემთხვევაში მაინც გამოიყენეს შევარდნაძე, ხომ?**

— კი, ბოლოს მაინც დაითანხმეს, პარტია შეიქმნა და სხვათა შორის, პასუხისმგებლობაც აიღო, საქმეს ზერელედ არ უდგებოდა. მეტიც, არჩევნების პერიოდში სოფელ-სოფელ იარა.

**— შევარდნაძის ინტერვიუ მაქვს მოსმენილი, სადაც სააკაშვილს ახასიათებს, როგორც საშიშ მოვლენას. ასევე, ჟვანიას უთქვამს, ამ ტიპისა მეშინიაო. რა გამოდის რაღაც საშიშროება მოდიოდა, ამას ორივენი გრძნობდნენ, ხედავდნენ და ვერაფერს აკეთებდნენ? ზემოთ თითქმის იგივე გკითხეთ შევარდნაძესთან დაკავშირებით, მაგრამ აქ უფრო კონკრეტული პასუხი მინდა.**

— დიახ, სწორად ასე იყო... მსგავსი მოვლენები მსოფლიოში ხშირად ხდება, როცა დონალდ ტრამპს პრეზიდენტობა მოუნდა, ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერ შეაჩერეს, დემაგოგიამ და პოპულიზმმა გაიმარჯვა. მეორე მაგალითი – დიდმა გერმანელმა ხალხმა თავზე დაისვა ადოლფ ჰიტლერი. გერმანელებმა ყველა სფეროში მიაღწიეს წარმატებას, ნამდვილად იმსახურებენ დიდი ერის





სტატუსს, თუმცა შეცდნენ. პირველი კომპიუტერიც კი მათი გაკეთებულია, მაგრამ მერე ომი დაიწყო და ყველაფერი გადავიდა ამერიკელების ხელში. ბევრმა არ იცის, ჰოლივუდიც გერმანელების შექმნილია. 1928 წელს ჰიტლერი თავის „მაინ კამპფიანად“ ჩავარდა, ხმა არ მისცეს, მაგრამ შემდეგ სოციალურ-ეკონომიკური ვითარება ისე შეიცვალა, უმუშევრობამ და ინფლაციამ ისე იჩენა თავი, 1932–1933 წლებში ველარავინ შეაჩერა. ამ პერიოდში მძვინვარებდა დიდი დეპრესია ამერიკის შეერთებულ შტატებში. მიუხედავად იმისა, რომ ხალხი ეწინააღმდეგებოდა, 30 თავდასხმას ითვლიან ჰიტლერზე, მაგრამ ბედი სწყალობდა, გაიმარჯვა, კანცლერი გახდა. მე უკვე გითხარით, შევარდნაძემ სააკაშვილი პარლამენტიდან გამოიყვანა, იუსტიციის მინისტრად დანიშნა, ჟვანია გახარებული იყო, ჩემს თვალწინ ათასი მადლობა გადაუხადა, თქვენ არც კი იცით, რამხელა პრობლემა მომაშორეთ, უკვე ველარ ვაკონტროლებდიო. საერთო წარმოდგენა იყო ასეთი: მას ხომ მუშაობა არ შეუძლია? პარლამენტარობა სხვა რამეა, უნდა გამოხვიდე, ილაპარაკო, ილაპარაკო და ილაპარაკო. თან არჩევითია, ვერაფერს უზამ. მინისტრობა სხვა რამეა, შეგიძლია, მოხსნა და სახლში გაუშვა. აი, ეს იყო დიდი შეცდომა... ვაღიაროთ, მაშინ საქართველოში იყო აღვირახსნილი კორუფცია. ჩვენ შევარდნაძის თაობის ადამიანები გვაფრთხილებდნენ, ან რამე გააკეთეთ, ან პოლიცია ალაგმეთ, რუსთაველზე ფულს რომ კრებს, მძღოლებს 5–5 ლარი აქვთ შეწერებული, ან კიდევ უბედურება დატრიალდება, ვერ გაასწრებთ მაგ შენობიდანო. შევარდნაძეც მოწადინებული იყო, კორუფციას უნდა ვებრძოლოთ, გვახსოვდეს, ან ჩვენ დავამარცხებთ კორუფციას, ან კორუფცია დაგვამარცხებს ჩვენ და სახელმწიფოსაც. კეთდებოდა რამე? ეს უაღრესად საინტერესო და ღრმა თემაა, მე გეტყვით, არაფერიც არ კეთდებოდა. შევარდნაძე აუბნებოდა ყველას, მომიტანეთ დოკუმენტი, გეხვეწებით, ჩემთვის სულერთია, მინისტრი იქნება, მინისტრის მოადგილე თუ პარლამენტარი, მხოლოდ ზეპირი ლაპარაკით, რომ მავანი კორუმპირებულია, ასე არ გამოვა. ახლა გვარს ვერ ვიტყვი, ჩვენთან კანცელარიაში იყო ერთ-ერთი სამსახურის უფროსი, როცა ანტიკორუფციული ჯგუფი ამუშავდა, ამას ამოუქექეს, 1990-იან წლებში კოოპერატივი შეგიქმნია და

ეს დეკლარაციაში არ ჩაგიწერიაო. ამ ადამიანს დაუძახა შევარდნაძემ, რა ხდებაო? უი, კი, რაღაც მსგავსი იყო, შევქმენით, მაგრამ ვერ ვამუშავეთ, არც შემოსავალი გვქონდა, არც გასავალი, ბოდიში, არც კი გამხსენებია, თუ დანაშაულია, დავწერ განცხადებას და წავალო. აი, ასეთი მარაზმატული ბრალდების გამო წავიდა სამსახურიდან პროფესიონალი ადამიანი. ამ ანტიკორუფციულ კომიტეტს მეტი არაფერი დაუდგენია. არადა, სოროსის რჩევით და დაფინანსებით შეიქმნა, თუ მინისტრს ხელფასი ჰქონდა 170 ლარი, კომიტეტის წევრს – 1000 დოლარი. მაშინ დოლარი 1:30-ზე იყო.

— **ანტიკორუფციული კომიტეტი რამდენ ხანს არსებობდა?**

— კარგახანს არსებობდა, სულ წერდნენ რაღაცებს, რეკომენდაციებს იძლეოდნენ... მაგალითად, მანქანების ნომრები სამსახურებში უნდა განაწილდეს ლოტოტრონულად, არ უნდა ჩანდეს, ნომერი უშიშროებისაა თუ შინაგან საქმეთა სამინისტროსიო.

— **იმ პერიოდში ეგ პრობლემა ნამდვილად გვაწუხებდა. ისე, მაგ კომიტეტში უფრო მაგარი კორუმპირებულები ყოფილან.**

— მე ვიყავი პირველი ანტიკორუფციული კომისიის თავმჯდომარე პარლამენტში, დავდეთ სერიოზული მასალა, შევარდნაძესაც ძალიან მოეწონა, პროკურატურასაც გადავეცით, მაგრამ ამ ამბავმაც ჩაიარა. საერთოდ, ელიტარული კორუფცია ქაღალდზე, ანუ დოკუმენტზე კვალს არ ტოვებს. მაგალითად, მიხეილ სააკაშვილმა თავის საყვარელ დედიკოს 1 ლარად გადასცა 30 ობიექტი. ამის დამადასტურებელი დოკუმენტები რომ წაიკითხოთ, ვერაფერს იფიქრებთ. პრეზიდენტს აქვს ექსკლუზიური უფლება, 1 ლარად გადასცეს შენობა-ნაგებობა, მიწა და ეს მონათლოს განათლების ხელშეწყობად. აქ გიული ალასანიაც კი არსად არ ფიგურირებს, დაფიქსირებულია რომელიღაცა კომპანია.

— **ბატონო პეტრე, სააკაშვილმა გიული ალასანიას მართლა 30 ობიექტი გადასცა თუ უბრალოდ მაგალითი მოიყვანეთ?**

— არა, ეგ სია ჯონდი ბაღათურიასაც ჰქონდა, პარლამენტში პირდაპირ წაუკითხა სააკაშვილს, მერე პრესკონფერენციაც გამართა. მახსოვს, 30 ობიექტი იყო შპს-ებზე გაფორმებული. ჯონდიმ ეს მონაცემები გამოაქვეყნა 28 თებერვალს, მეორე დღეს, ანუ 29 თებერვალს საჯარო რეესტრში ყველაფერი შეცვალეს. იმ ღამეს მოხდა დიდი დანაშაული, მაშინ ლევან ბეჟაშვილი და გიორგი ვაშაძე იყვნენ ამ ყველაფრის ხელმძღვანელები.

— **კონკრეტულად რა შეცვალეს?**

— ჯონდის ჰქონდა ამობეჭდილი ობიექტების სია, სადაც ფიგურირებდა რადიო „მუზა“, რომელიც შექმნილი იყო სანდრა რულოვსისა და გიული ალასანიას მიერ. ამ რადიომ გრანტის სახით მიიღო 4 მილიონი დოლარი. უნდა გენახათ „მუზა“, ერთ პატარა ოთახში შეყუჟული, სად დახარჯეს ეს ფული? სანდრა რულოვსი არის სააკაშვილის მეუღლე, პრეზიდენტს დოკუმენტურად დეკლარაციაში უნდა ეჩვენებინა, რომ ამ ქონების მფლობელი იყო, ასევე უნდა ეჩვენებინა გრანტი. ამას კანონი ითხოვს. ჩემი მეუღლე სკოლაში მუშაობს და 170 ლარი რომ ჰქონდა ხელფასი, როგორც პარლამენტის წევრს, ეს შემქონდა დეკლარაციაში შემოსავლის სახით. მეორე დღეს რა ეწერა საჯარო რეესტრის დოკუმენტებში? იქიდან რულოვსიც გაქრა და ალასანიაც, თურმე ყველაფრის მეპატრონე ყოფილა მანანა დოიჯაშვილი, კონსერვატორიის იმჟამინდელი რექტორი. 28 თებერვალს დოკუმენტები იყო სხვანაირი, 29-ში კი ყველაფერი შეიცვალა.



მეტსაც გეტყვით, სააკაშვილის ქონება ყოველწლიურად იზრდებოდა დაახლოებით 200 ათასი დოლარით და ამას ჩვეულებრივად დეკლარაციაში წერდა. თუმცა წარმომავლობა მითითებული არასოდეს არ ჰქონდა, ეს იყო ფულის ერთგვარი გათეთრება. ეს გახლდათ ასევე იმპიჩმენტის საფუძველიც, ჩვენ წამოვიწყეთ კიდეც, რამდენიმე დეპუტატმა ხელიც მოვაწერეთ, მაგრამ საკმარისი რაოდენობა ვერ მოვაგროვეთ. დღემდე ამაზე არავინ არაფერს ამბობს.

— **არადა, ძალიან საინტერესო თემაა, ნეტა რამდენი ფული აქვს გათეთრებული პრეზიდენტობის პერიოდში ამ თაღლითს?**

— ძალიან საინტერესოა... ვიღაცამ რომ აიღოს სააკაშვილის დეკლარაციები და შეისწავლოს, ბევრ საეჭვო მონაცემებს გადააწყდება. ერთხელ უკრაინელმა ჟურნალისტებმა ჰკითხეს, ხელფასი რამდენი გაქვთო? მე 4 ათასი დოლარი მაქვსო. მეორე დღეს თუ ჰკითხავდნენ, 7 ათას დოლარს ამბობდა. ყველას ატყუებდა, ჩვენთან პედაგოგის ხელფასი 800 დოლარიაო. სააკაშვილი ხელფასს საერთოდ არ გაკარებია, რაში სჭირდებოდა? ის ცხოვრობდა მუქთად, ბიუჯეტის ხარჯზე. ერთხელ ხორვატიაში დაესწრო ფეხბურთის მატჩს, მერე მიფრინავდა ამერიკაში, ჰაერში გადაიფიქრა, იტალიაში უნდა დავჯდეთ, რაღაცები მაქვს საყიდელიო. მაშინ გადაუღეს ფოტოები, როგორ შევიდა მილანში, საათების მაღაზიაში და როგორ გამოაქვს ძვირფასი საათებით გატენილი პარკი. ასეთ საათებს ხელფასით ვერ ყიდულობენ.

— **გასაგებია, რომ სააკაშვილმა და მისმა ამფსონებმა ისარგებლეს სოციალური ფონით, მაგრამ დღემდე ტრიალებს აზრი, რომ ის მოიყვანა რუსეთმა, მეორე ვერსიით, მას მფარველობდნენ ამერიკელები. თუ ამერიკელები მფარველობდნენ, მაშინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ივანოვი რატომ ჩამოვიდა, რატომ მივიდა მიტინგზე, რატომ დასვა გოგო-ბიჭები შევარდნაძის რეზიდენციაში, რატომ ჩავიდა ბათუმში, რატომ მოკიდა ხელი ასლან აბაშიძეს და რატომ წაიყვანა მოსკოვში? ვინ მოიწვია ივანოვი, შევარდნაძემ სთხოვა პუტინს?**

— არა, არავინ არ ჩარეულა, არც ამერიკა, არც რუსეთი, სააკაშვილი მოიყვანა ჩვენმა ხალხმა. ეს ცნობილი სინდრომია, როდესაც ადამიანები შემდგომში დგებიან ფაქტების წინაშე, როდესაც მათი რჩეული გამოდგება დამნაშავე, ცდილობენ, იპოვონ გამოსავალი, ყველაფერი სხვას გადააბრალონ და თქვან: აი, იცით, რააა? მავანი მოიყვანეს ამერიკელებმა, ან მოიყვანეს რუსებმა, ჩვენ რა შეგვეძლო? ადამიანებს არ უყვართ ცხოვრებისეულ სარკეში ჩახედვა, არ უნდათ აღიარება, რომ ეს ჩვენ ვართ, მე ვარ, აქედან იწყება შეთქმულების თეორიები.

— **თუმცა ფაქტია, რომ მაშინ აქ სიტუაცია სერგეი ივანოვმა დაალაგა, რუსმა ჩინოვნიკმა.**

— ალბათ გახსოვთ პოლიტოლოგი რამაზ კლიმიაშვილი, ცხონებული, თავის დროზე ისიც სანდრო კავსაძესთან მუშაობდა. მან 2008 წელს ერთ-ერთ გაზეთს მისცა ინტერვიუ, სადაც დეტალურად იყო აღწერილი, თუ როგორ შეხვდნენ სააკაშვილს ბიზნესმენები. ამ დროს მე ვარ „ნაცმოძრაობის“ სიით წარდგენილი კანდიდატი, საპარლამენტო არჩევნებია, შტაბბინა გვაქვს თავისუფლების მოედანზე, ცეკავშირის შენობაში, ელდარ კვერნაძე ზის, ამ გაზეთს კითხულობს და დუღს – კაცო, ყველაფერი ასე იყო, სწორად წერია, მაგრამ ახლა ამის გახსენება რა საჭირო იყოო? მე გვერდით ვზივარ, დავინტერესდი, ამის შესახებ გაგონილი მქონდა, მაგრამ დაწერილი პირველად ვნახე. არ მახსოვს, რომელი გაზეთი იყო.

— **მე იმ პერიოდში ხშირად ვწერდი ინტერვიუებს, ძალიან ახლოს ვიყავი, თავს ვერ დავდებ, მაგრამ შესაძლოა, ჩემი ავტორობით გამოქვეყნდა, ბუნდოვნად მახსენდება.**

— შეიძლება... 2001 წელს ფულიანმა ადამიანებმა, ბიზნესმენებმა მოილაპარაკეს, სააკაშვილს შეხვედროდნენ. იქ იყვნენ თემურ ჭყონია და მისთანები. შეხვედრა შედგა რესტორანში. საუბრის შინაარსი გახლდათ ასეთი: აი, ხომ ხედავთ, რა ხდება, ქვეყანა იღუპება, კორუფცია მძვინვარებს. მიშა, გაქაჩავ? თუ გაქაჩავ, ფული იქნება, მხარდაჭერა იქნება. ზუსტად ვიცი, სააკაშვილსაც არ უნდოდა პარტიის შექმნა, მაგრამ ურჩიეს, ასე სჯობსო, ფულიც დადეს. ესენი ის ბიზნესმენები იყვნენ, რომლებიც საბაჟოზე შეღავათებით ვერ



სარგებლობდნენ, იქ ვერ შედიოდნენ, სხვებს ჰქონდათ დაკავებული.

— **თუ თავიანთ კაცს მოიყვანდნენ, გზა გაეხსნებოდათ, ხომ?**

— რასაკვირველია... თანხა პირველმა დადო თემურ ჭყონიამ.

— **ჭყონიას ახლაც ეტობა, რომ სააკაშვილზე მამაშვილური ამაგი აქვს.**

— კი, ეტყობა და აი, ამით დაიწყო ყველაფერი. თუმცა იმის თქმა, რომ „ელიტებმა“ მოიყვანეს სააკაშვილი, ესეც არასწორია, მათ დახმარება გაუწიეს იმას, ვისაც ხალხი უჭერდა მხარს. სხვათა შორის, იმ შეხვედრის შემდეგ იყო ქეიფი და ითამადა ელდარ კვერნაძემ. რაც შეეხება სერგეი ივანოვს, ის გამოაგზავნა პუტინმა. შევარდნაძეს ის არ მოუწვევია, ეს მისთვისაც იყო სრული სიურპრიზი. არც ამერიკაა შუაში, მე ორჯერ მელაპარაკა ჯეიმს ბეიკერი, შევარდნაძე გაბრაზებული იყო, არ უნდოდა მასთან ლაპარაკი. ის მეკითხებოდა, რა ვქნათ, რა გავაკეთოთ, როგორ ვუშველოთ ედუარდს ასეთ სიტუაციაშიო?

— **შევარდნაძე რატომ იყო გაბრაზებული, რატომ არ უნდოდა ბეიკერთან ლაპარაკი?**

— ნაწყენი იყო, ის მოწყდა რეალობას. მოდიოდა რიჩარდ მაილსი, ამერიკის ელჩი, ლამის ყოველდღე და ეუბნებოდა: ბატონო ედუარდ, ჩვენ ყველანი ვაცნობიერებთ, რომ ეს იყო საპარლამენტო არჩევნები, ეს არ იყო საპრეზიდენტო არჩევნები, თქვენ გაქვთ დარჩენილი თქვენი დრო, 13 თვე, ჩვენი დამკვირვებლები, საერთაშორისო დამკვირვებლები, თქვენი კომისია, ყველა აჩვენებს იმას, რომ ეს არ შეესაბამება რეალობას. ეს ადამიანები ჩივიან, აწყობენ მიტინგებს, სიტუაცია დუღს, ჩვენი აზრით, თქვენი ერთი განცხადება, რომ დისტანცირებული ხართ ამ პროცესებისგან, რომ ეს ყველაფერი ქვემდებარეა საარჩევნო კომისიისა და სასამართლოსი, საკმარისზე მეტი იქნება იმისთვის, რათა პრეტენზია აღარ არსებობდესო. შევარდნაძე დუმდა, ბრაზდებოდა, რას ჰქვია, მე არაფერ შუაში ვაროო? შემდეგ მაილსი მიდიოდა ახალგაზრდებთან და ამბობდა, ხალხო, თქვენ ამბობთ, რომ გაქვთ საბუთები, რომლის თანახმადაც არჩევნები გაყალბდა, არ ეთანხმებით ამ შედეგებს. კი, ბატონო, გიდასტურებთ, ჩვენი დამკვირვებლებიც ადასტურებენ, სრული სოლიდარობა გაქვთ ევროკავშირისგან, ეუთო/ოდირისგან, რათა იბრძოლოთ კანონიერად, მაგრამ თუ თქვენ ამას გამოიყენებთ, რომ ზეწოლა მოახდინოთ პრეზიდენტ შევარდნაძეზე და აიძულოთ, ვადაზე ადრე გადადგეს, იცოდეთ, შედეგები იქნება ძალიან ცუდი თქვენთვისაც და ქვეყნისთვისაც. მახსოვს მისი სიტყვები: „წინ ქვა-ღორღიანი გზაა“. მან თქვა, შევარდნაძეს პრობლემა არ აქვს, მას შეუძლია, დღესვე დაიხუროს ქუდი და წავიდეს სახლში. თქვენ ასე ვერ წახვალთ, თქვენ წახვალთ ძალიან ცუდად. როგორც ხედავთ, უკვე გამართლდა ყველაფერი, გადახედეთ ამ ახალგაზრდების ბედს.

— **თქვენ პირდაპირ ეუბნებოდით ბეიკერს, რომ შევარდნაძე ნაწყენია და ამიტომ არ გელაპარაკებათო?**

— არა, მაგას როგორ ვეტყოდი? მე ვეუბნებოდი, ბატონი ედუარდი გადაღლილია, ძალიან ავადაა, ის მოწყვეტილია რეალობას და როცა ველაპარაკები, შედეგი არ აქვს-მეთქი.

— **ანუ შევარდნაძე ნაწყენი იყო, რომ აშშ-ის ადმინისტრაცია არ დაეხმარა? გარეგნულად ისე ჩანდა, თითქოს ეს ამბავი გულთან არც კი მიიტანა, დაიხურა ქუდი და წავიდა სახლში. თურმე ძალიან განიცდიდა, მეუღლეს ისიც უთქვამს, სისხლი არ დაღვაროო.**

— ის ბრაზობდა, განიცდიდა... რაც შეეხება მეუღლეს, ქალბატონ ნანულის, მას არაფერი უთქვამს, მას არაფრის თქმა არ შეეძლო, არ იყო იმ მდგომარეობაში, რომ ელაპარაკა.

— **რანაირად განიცდიდა, რას ამბობდა, მიღალატესო?**

— არა, ის პირდაპირ ეუბნებოდა ამათ, რასაც ახლა თქვენ აკეთებთ, ეს არის ბრძოლა ძალაუფლებისთვისო. მას შესანიშნავად ესმოდა, რომ ესენი ერთმანეთს უფრო ებრძოდნენ, ვიდრე მას. ამათ იცოდნენ, შევარდნაძე მალე წავიდოდა და ქიშპობა ჰქონდათ შიგნით. თან შიშობდნენ, ვინმე არ დაასახელოს მემკვიდრედო. თუმცა ვინმეს დასახელებას აზრი აღარ ჰქონდა.

— **და შევარდნაძეს ფავორიტი ჰყავდა? ვინმეზე ფიქრობდა?**

— არა, გამოკვეთილი არავინ ჰყავდა. მაგალითად, იტყოდა, რა კარგია ლადო ჭანტურიაა... ხან ირაკლი მენაღარიშვილზე ლაპარაკობდა, მოსწონდა. ხშირად ამბობდა ხოლმე, მე ახლა აქ რა მინდა, ნანულის გვერდით უნდა ვიყო, აუცილებლად გადავდგებიო. მერე მეუბნებოდა: ეს ახალგაზრდები კი მოვლენ ხელისუფლებაში, ეს ვიცი, მაგრამ აუცილებლად დაკარგავენ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს, შენ რას მეტყვი, პეტრე? მე ვპასუხობდი – კი, ბატონო ედუარდ, ნამდვილად დაკარგავენ, ამ მხრივ ჟვანიას იმედიც ნუ გექნებათ-მეთქი. სამწუხაროდ, ესეც ახდა, 5 წლის შემდეგ დაკარგეს.


გელა ზედელაშვილი
555 48 48 61


(გაგრძელება იქნება)

## გოჩა გვასალია:

# აკაკი ბაქრაძის წინააღმდეგ

**(დასასრული. დასაწყისი იხ. „ს.გ.“ N3)**

შემდეგ ბაქრაძე ამ თავის წინასიტყვაობაში წერს: „საქართველო ევროპისაკენ გაპარვას ცდილობდა. ბიზანტია უკეტავდა კარს“ (გვ. 13). აქვე ისიცაა მის მიერ თქმული, რომ გიორგი მთაწმიდელი კათოლიციზმის უკეთესობასაც აღიარებდა იმპერატორ კონსტანტინე X დუკასთან საუბარში.

თუ ეს სადღაც წერია ძველ ხელნაწერებში, ის მაინც არ გამოდგება იმ მიზნისათვის, რასაც ბაქრაძე ისახავს. გიორგი მთაწმიდელი თუ კათოლიციზმის უკეთესობას აღიარებდა თვით ბიზანტიის ბასილევსთან, კონსტანტინე X დუკასთან (1059–67) საუბარში, მაშინ ტყუილია ყოველივე ის, რაც გიორგი მთაწმიდელზე (1009–1065), როგორც რჯულის ბურჯზე თქმულა. ეს ცნობა ან ნარიოშალია, ან რომელიმე ბერმა ბრიყვულად დაწერა. კაცი რომ საეკლესიო მოღვაწე და ბერია, ეს არ ნიშნავს, რომ ყოველივე მისგან ან მასზე თქმული საჭეშმარიტოა



და მოსაწოდებლად ღირს. ბაქრაძის ნათქვამით ასე გამოვიდა, რომ ბიზანტიაში სახელშეძენილ ქართველ მამებს — იოანე და გიორგი მთაწმიდელებს გაპარვა სურდათ. ისინი აფერისტებად გამოვიდნენ ბაქრაძის ნახლართ წინასიტყვაობაში. შეუძლებელია იოანესა და გიორგის არ სცოდნოდათ ქრისტიანული იმპერიალიზმის ნომოსი და ბიზანტიური ოიკუმენის იერარქია, რომელიც თვით ქრისტეს ავტორიტეტითაა განმტკიცებული. საქართველო შედიოდა ამ ოიკუმენაში, როგორც ერთ-ერთი ქვეშევრდომი კონსტანტინოპოლისა. ასე იყო უწინ. სუვერენიტეტის პრინციპი არ არსებობდა იმ სახით, როგორც ეს XIX–XX საუკუნეებში იყო. მხოლოდ ბიზანტიაში კი არა, არამედ კათოლიკურ ევროპაშიც ასე იყო. ამის წინააღმდეგ გამოსვლამ შექმნა პროტესტანტული ერესი და ახალი, სეკულარიზმთან შეთანხმებული საიმპერიო იდეა. არა აქვს ეს გააზრებული ბაქრაძეს და მისი აფრაკული ლაპარაკით ისე გამოდის, რომ იოანე და გიორგი მთაწმიდელების დროსაც იგივე პოლიტიკური პრინციპები იყო, რაც ახლაა. თუ იოანე და გიორგი მთაწმიდელები არ ეთანხმებოდნენ ბიზანტიური ოიკუმენის პრინციპს, მაშინ ერესი დაეწყოთ, როგორც ლუთერმა დაიწყო ევროპაში. გარდა ამისა, არც იოანე მთაწმიდელის, არც გიორგი მთამიწდელის დროს ბიზანტია არ განიცდიდა დაქვეითებას. იყო კრიზისი, მაგრამ სადაც რაღაც არის დადგენილი, სადაც რაღაც არის იერარქიზებული და შკალირებული, კრიზისი იქ ყოველთვისაა. პროტესტანტობა ლუთერის დროსვე განიცდიდა კრიზისს. კრიზისი ყოველთვის არ ნიშნავს დაცემას. ამ სიტყვას მეტად უადგილოდ, დაცემისა და უსაშველობის აზრით მოიხმარს ბევრეული. არ იციან ამ ბერძნული სიტყვის სრული სემანტიკა. არ იციან და არც აქვს აზრი, რომ განუმარტო, რადგან სხვისი ქოქვისა და დაცინვის შლეგური ჟინი აწამებთ მუდამ.

იმ ძველ ქართველებს რომ მართლა ნდომოდათ ესპანეთის იბერიაში წასვლა, რამდენჯერმე ჩავიდოდნენ. წამსვლელი წავიდოდა. არა, იდეა როცა გმსჭვალავს, მაშინ რკინის ქალამანს ამოიცვამ და გაითხრები იმ შენ საესავ ესპანეთში. ან გემს გაჰყვები, ან ქარავანს მიეკედლები და ასე ივლი ზღვით ან ხმელეთით. ეგრეღა შორს იყო ეს ესპანეთი? ევროპაში მოსახვედრი გზები მხოლოდ ბიზანტიაზე არ გადიოდა. ეს კი არა და ქართველი არ ვარგოდა მოგზაურად. დიდი საისტორიო მოვლენები მოხდა იმპერიების შექმნით და ქართველს ყური არ გაუბარტყუნებია. ერთი აღწერილობა არაა არც არაბეთის, არც მონღოლთა იმპერიის, არც თემურ-ლენგის იმპერიისა ქართულ ენაზედ. ამხელა იმპერიები იყო საქართველოს გვერდით და ქართველმა ვერსად გადგა ფეხი სახილველად. სანამ იტალიელი მოგზაური მარკო პოლო (1254–1324) აზიას მოიხილავდა და აღწერდა თავის წიგნში, მანამ ქართველს უნდა ევლო აზიაში და ცოდნა ეძებნა. ჩადი, ნახე არაბეთი, ინდოეთი, ჩინეთი და აღწერილობა დატოვე. ყურის ძირში იყო მთელი აღმოსავლეთი. სანამ თავზე არ დაეცემოდა დიდ ომებში გაძლიერებული დამპყრობელი საქართველოს, მანამ არც უწყოდნენ ქართველებმა რა ხდებოდა აზიის უკიდეგანო ველებზე. მერე რაღაც ყურმოკრულს მატიანეში ჩასწერდნენ ბრიყვულად და სულ ეს იყო. მაგალითებრ, ასე დაიწერა რამდენიმე სიტყვა თემურ-ლენგზე „ქართლის ცხოვრებაში“. ეს იმიტომ, რომ არ ყოფილან ქართველი ვაჭრები უცხოეთში, როგორც სხვები იყვნენ, რომ ამბავი მოეტანათ. ძველად ქართლში მოსულან არაბი, სპარსელი, თურქი მოგზაურნი და აღწერილობაც დაუტოვებიათ. ქარავნები შემოდიოდა მაშრიყიდან. ქართველი არსად წასულა მოგზაურად. რატომ და ამას არცღა უნდა კითხვა. ბიზანტიელმა კეისარმა თუ დაუშალა იოანე მთაწმიდელს ესპანეთს წასვლა, ეს არ ნიშნავს, რომ ბიზანტია ხელს უშლიდა საქართველოს ევროპასთან დაახლოებაში. ბაქრაძეს კი სწორედ ეს უნდა ამტკიცოს ერთ და ისიც საეჭველ ცნობაზე დაყრდნობით. შესაძლოა, სადღაც რაღაც საუბარი იყო და ეს ჩაწერეს ქართველმა ბერებმა, მაგრამ ეს ჩანაწერი თაბაუთს დიდს ვერას შვრება საიმისოდ, რისი მტკიცებაც ბაქრაძეს მოუწადინებია.

საშინლად სუსტი ჩანს ამ წინასიტყვაობაში ბაქრაძე და არ ვარგა ის ისტორიკოსად, რაც ყოველ მის აბზაცში დასტურდება. იგი „ბიზანტინიზმის ერთგულებას“ უწოდებს „ძველ შინაგან სენს“, რომელიც საქართველომ ვერ მოიცილა (გვ. 26). აქვე ბაქრაძე იტყვის, რომ ბიზანტიური სენის საშიშროებას ძველად გიორგი მთაწმიდელი და დავით აღმაშენებელი ხედავდნენ, უფრო გვიან- სულხან-საბა ორბელიანი და ახალგაზრდა ანტონ კათალიკოსი, მეცხრამეტე საუკუნეში ნიკო ნიკოლაძე. ან კიდევ ეს: „ევროპისაკენ მიმავალი გზა საქართველოს ისლამმა კი არ გადაუკეტა, არამედ ბიზანტიამ“ (გვ. 29). ვაი ნამსჯელს და ვაი მომსჯელეს.

არაა სწორი ლექსემის „ბიზანტინიზმის ერთგულება“ ნეგატივიზება, რასაც ბაქრაძე იზამს. არაა სწორი, რომ მას ძველი შინაგანი სენი უწოდო. ბაქრაძე წერს ბიზანტიის ჩამოქვეითებაზე. ბიზანტია კი არა, ქრისტიანობა კვდებოდა აღმოსავლეთში. ასევე დაემართა ქრისტიანობას ევროპაში რენესანსის შემდეგ. ამ რელიგიურმა კრიზისმა გამოიწვია პროტესტანტული ერესი და ერესის ერესები მთელ ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში. ბიზანტია თუ ქვეითდებოდა, რაც ბაქრაძეს უწერია, ამის მიზეზი რა იყო? ბაქრაძე არას



ამბობს ამაზე. თუ ისლამური ქვეყნების ჩამორჩენის მიზეზად ისლამი სახელდება, რატომ არ ითქმის ეს ქრისტიანობაზე ბიზანტიაზე საუბრისას?

აკაკი ბაქრაძე არას იტყვის იმაზე, რომ ბიზანტია იყო მაშინდელი ქრისტიანული მსოფლიოს კულტურტრეგერი და ფლაგმანი. ევროპა მონათლულ ბარბაროსთა მხარე იყო. ისტორიიდანაა ცნობილი, რომ შუა საუკუნეების ევროპაში ჩანგალი ეშმაკისეულად იყო მიჩნეული, რადგან ბიზანტიიდან შემოტანილი ეს საციქველი ინახობისას ზოგმა ტუჩში შეირჭო, ზოგმა კიდევ ღრძილში. ტლანქი ხელი ჰქონდათ. ეგრევე ეშმაკს დააბრალეს ჩანგლის გამოგონება და საუკუნეები უჩანგლოდ იყვნენ. რამდენი ასეთი სირეგვნე იყო ევროპაში. კატების საზრჩობელები იყო. ეშმაკთან მებრძოლი ბერები კატებს დასდევდნენ და ფიქრობდნენ, რომ ეს ღვთივსათნო საქმეში მიეთვლებოდათ. შეშის ნაპობისგან გამოჩორკნილ თოჯინას ვისაც უპოვიდნენ, კოცონზე წვავდნენ, ვითარც მაჩხიბს. განავალს მიჰქონდა ევროპის ქალაქები, აბანო არ იყო ათეულობით საუკუნე. ექიმი ძლივს სადმე იპოვებოდა. მუსლიმთა ელჩიონი როცა სტუმრობდა რომელიმე ევროპული სასახლის კარს, მის ზინტლიანობას ჰკვირობდა. როგორ ეტყობა ბაქრაძეს, რომ არ წაუკითხავს თუნდაც ქართული ბიზანტინისტიკის ტექსტები. ბაქრაძემ დაინახა მოსახმარის სიჭრელე, პოლიტიკური იმპროვიზაცია ევროპისა, წოდებული დემოკრატიად და ამით მოხიბლულმა დაჯღაბნა ეს წინასიტყვაობა.



არის მონოგრაფიები ბიზანტიაზეც, ევროპის რელიგიურ ომებზეც, პროტესტანტობიდან აღმოცენებულ სეკულარულ ქილიაზმზეც. ბაქრაძემ თუ ვერ დაძლია ეს წიგნები, მისი ეპიგონებიც ასევე რად არიან? აიღეთ, პანორამული მზერით შეიმეცნეთ მატიანე ქრისტიანობისა და შემდეგ საგულისხმო აზრი გამოთქვით ქართლის ხანგრძლივ ორიენტაციაზე. აღარ დამთავრდება კუთხე-კუნჭულისა და ორღობის კაცების წამოყვირებები საქართველოს გმირულ ისტორიაზე? რა იყო საქართველო? რა ისტორია ჰქონდა ასეთი, რომ ამდენს ილაყბით? არ გაქვთ დიდ სივრცეში გამჭვრეტი და ჰორიზონტის დამდგენი მზერა. აი ამ სოდომოვან თბილისსა და მის გორაკებს შესქერთ და სულ ესაა. განა დასწერს ვიეთი ისტორიკოსი ბაქრაძის მცირე კრიტიკას მაინც. ბაქრაძის ჟურნალისტური მისტიფიკაცია უკვე დაწყებულია და რა ტყუილები დაიწერება, თქმა აღარ უნდა.

ახლა რამდენიმე სიტყვას ვიტყვი მესიანიზმზე, რომლის გაგებაში ბაქრაძემ თავის ამ წინასიტყვაობაში კვლავ დაადასტურა თავისი უმეცრება. მესიანიზმი ისაა, რომ არსებობს მთელი კორპუსი ტექსტებისა, სადაც საბუთდება, რომ ესა და ეს ქვეყანა არის ღვთის ჭურჭელი. ასე იყო ბიზანტიაში, ასე იყო ევროპის კათოლიკურ იმპერიაში, ბრიტანეთის იმპერიაში, რუსეთის იმპერიაში. ასე არის აშშ-ს იმპერიაში. ეს არის მესიანიზმის ვლენის უნივერსული წესი. საქართველოში ასე არ ყოფილა. იყო ერთადერთი ტექსტი იოანე-ზოსიმესი. მას ეპიგონებიც არ ჰყოლია. არავინ ქართველ ბერთაგან არ აღიპყრო ეს იდეა და არაფერი არ დაწერა ამაზე. იოანე-ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი...“ ეულ ძეგლად დარჩა. სტანდარტული ეგზეგეზაც (საეკლესიო განმარტება) არავინ დაწერა იოანე-ზოსიმეს „ქებაის“ გამო. ქვეყნის საეკლესიო შაბლონებია დაწერილი ძველქართულად, ქართული მესიანიზმის ორიგინალური გააზრება კი ვერვინ შეძლო თვინიერ იოანე-ზოსიმესი. ვერ შეეჭიდნენ ქართველი საეკლესიო მწერლები ამ თემას.

არც ექვთიმე და არც გიორგი მთაწმიდელები არ ყოფილან ორიგინალური ავტორები და მით

უმეტეს ფილოსოფოსები. ისინი უფრო მთარგმნელნი და სხვათა ნაწერების გადმომღებნი იყვნენ, ვიდრე თვითმყოფადი ავტორები. დავითისას მცხოვრებმა არც იოანე პეტრიწმა, არც არსენ იყალთოელმა არ გამოთქვეს აზრი დავით აღმაშენებლის იმპერიის მესიანისტურ დანიშნულებაზე, რაც დიდად საკვირველია. მათ თვალწინ აღშენდა ქართლი და მორჭმულებით განივსო დავითის მახვილით. მეტად საჭირო იდეური დაფუძნება კი დავითის იმპერიისა არავის გამოუთქვამს. დავითისგან შემორჩა „გალობანი სინანულისანი“, მაგრამ ქართველთა მესიანიზმზე აქ არა თქმულა რა. არც რას მისი ვაჟი ამბობს ამაზე, დიდად კი უხამდა. მომდევნო დროის ბაგრატიონებმა ისე დაივიწყეს დავითი, რომ ვითომ არც ყოფილა. თუნდაც ერთ ბაგრატიონ მწერალს არ ჰყავს ნახსენებიც კი დავით აღმაშენებელი. რაღაც ლექსებს წერდნენ და ეგ იყო სულ. ასევე იყვნენ მწერი ქართველი თავადებიც, რომელნიც ოდენ სამიჯნურო ლექსებს თხზავდნენ. არვის გახსენებია დიდი წინაპარი დავითი და ნაქნარნი მისნი. თამარ მეფე თავისი თავის სამების მეოთხე წევრად შერაცხვას ითნევდა და ერთი არა დააწერინა რა მან დიდ პაპაზე აზმანი და ისტორიანი.

მერე კიდევ: რა მესიანისტური იდეა ჰქონდა საქართველოს, ვითარც ბაქრაძე იმტკიცება? თუ ბიზანტია სუსტდება, შენ გაპარვას კი ნუ ცდილობ, რომ სხვას შეეთბუნო, არამედ გვერდში დაუდექი დასუსტებულს, რადგან რჯული გავალებს ამას. ერთნი ხართ ქრისტეში და მისი იმპერიის მოქალაქეებად ითვლებით. ესაა ცივილიზაციური იდენტურობა. თუ გაპარვას ცდილობ და მაშინ ვირთხა ხარ. არ ხარ ქრისტიანი. მაშინ წაიღე იესუს დედის კვართი და ევროპელებს მიეცი. აი ასე გამოდის ბაქრაძის ნამსჯელიდან. მერე კიდევ: რუსეთი რომ დასუსტდა გასული საუკუნის 90-იან წლებში, შენ კი ნუ დასცინი მას, არამედ წინ აღუდექი მის დასუსტებას, რადგან **რუსული ოიკუმენა თუ მოიშალა, საქართველოს თათრის დროზე უარესი რამ მოელის. იმიერ და ამიერ კავკასიის არცერთი ხალხი ქართველთა მოკავშირე არ იქნება. ყველა დუშმანის თვალით დაუწყებს ცქერას ქართლს.** თუ შენ მაინც ნგრევის ჟინი გაგიჟებს, მაშინ რჯული დააგდე და საჭმელის გამო სხვას მიეკედლე. შემდეგ ეს ლამაზი სიტყვებით შემოსე და იყავი ასე. ნუღა ლაპარაკობ ქართველთა კავკასიურ მისიაზე. ნუღა გიდგას ჩმახი, რომ ჭეშმარიტი რჯული მხოლოდ ქართველს უპყრია. ნურც შენ საეკლესიო ჟურნალებში იქადი კონსტანტინოპოლის დაბრუნებას და საამისო ჟამს ნუ ითვლი, რადგან არ ხარ ქრისტესი, არ გაქვს ქრისტიანული იმპერიალიზმის ყადარი თვალის საწიერი. გიორგი მთაწმიდელი და ბიზანტიაში მოღვაწე ყველა სახელშეძენილი ქართველი ბერი გესახელება და გინდა, კონსტანტინოპოლი კი არ გინდა? ასე ვერ იქნება. კონსტანტინოპოლი არის ყოველი ქრისტიანის სულიერი სამშობლო მაშინაც კი, როცა ეს ქალაქი არ არსებობს. ეს ადრეც ვთქვი. კონსტანტინოპოლის პატრიარქია ყოველი ქრისტიანის სულიერი მოძღვარი. ეგრე ვერ იქნება, რომ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე ლაპარაკით დაფარონ რჯულის ეთნიზაცია, ფილეტიზაცია და საკუთარი იდეის გაყიდვა. ქრისტიანი იმპერიალისტს ნიშნავს, ოიკუმენის მოქალაქეს ნიშნავს.

თამარ მეფემ ორიენტაცია აიღო სამცხე-ჯავახეთის მეზობლად მდებარე თურქულ სასულთნოებზე. მან შემოიღო ათაბაგის სახელო. ეს თურქული სიტყვაა. ათაბაგი მეფის შემდეგ მეორე კაცად აქცია თამარმა. არა, ორიენტაციას რომ იღებ თურქულ სამეფოებზე ბიზანტიელთა ჯიბრით, წადი, ჯერ მოიმოწაფე, ქრისტეს შემოუყენე თურქთა ურდოები და ათაბაგობა მერე იყოს. ამაზე ბაქრაძე ხმას არ იღებს. სამცხისა და მესხეთის მომეზობლე თურქული სამეფოები ნიშნავს იმას, რომ იქით ისლამის მიწაა (დარ ალ-ისლამ), აქეთ დასაპყრობი მიწა. აქ საათაბაგოს შემოღება იყო უგუნურება. ასეთი სახელო უნდა დაწესებულიყო ქართლის მთიანეთში, შიდა ქართლში, მაგრამ არა აქ. დავით



აღმაშენებელმა რომ ყივჩაყთა ურდო ჩამოასახლა, მონათლა და სახელმწიფო საქმე მათ ჩააბარა, ეს დიდად სარისკო საქმე იყო და არ ნიშნავს იმას, რომ დავით მეფე ამით ბიზანტინიზმისგან თავდაღწევას ლამობდა. არ ენდო მეფე დავითი ქართველთ და მათ ყივჩაყი დააყენა თავზე გზირად და მსტოვრად. ყივჩაყს დაუმოყვრდა დავითი და გარს სულ ცოლეურები ეხვია. ეხუმრება ვინმე სტეპის თურქული ტომების, ამ ყივჩაყპაჭანიკთა ამხელა ურდოს გადმოყვანას კავკასიის ქედის იქიდან და გაქართველებას, როცა დავით მეფეს სულ თურქულ სამეფოებთან ჰქონდა ლალვა? გიორგი V ბრწყინვალემაც (1318–1346) იგივე გაიმეორა მონღოლთა ბატონობის გადავარდნის შემდეგ. ურდო ყივჩაყებისა მანაც ჩამოასახლა ქართლში. რა მოსაზრებით აღასრულა ეს გიორგი V-ემ, არსად წერია „ქართლის ცხოვრებაში“. ბრწყინვალე ეწოდება ამ მეფეს, მაგრამ დიდი ვერაფერი გაუკეთებია თავისი ამ სახელის საფერი. მან არ ბრძანა, რომ ბერებს დაეწერათ ქართული მესიანიზმის ტექსტი. ბიზანტიის მტერი, ქრისტიანობის ამომგდები იყო ყველა თურქული სასულთნო და თამარმა მათზე როგორ აიღო ორიენტაცია? საათაბაგოს შექმნა ქვეყნის განაპირას, ქართლისადმი მტრული სასულთნოების მოსაზღვრედ სირეგვნე იყო და არა ბიზანტინიზმისაგან თავდასაღწევი ქართული მესიანიზმი. ისტორიაში ისიც უცნობია, რის გამო იყო განხეთქილება თამარის რუსი ქმარყოფილის მომხრეებსა და თამარის დასს შორის. თამარის ასული რუსუდანი (1222–45) თურქული სასულთნოდან მოყვანილ უფლისწულზე გათხოვდა. ეს რა მესიანიზმია? აპოსტატა იყო რუსუდანიც და გიორგი ლაშაც (1207–22). ისინი კათოლიკეებს შეეკრნენ ბიზანტიის წინააღმდეგ. ბიზანტიური ოიკუმენის წინააღმდეგ გამოვიდნენ თამარის შვილები. რაც თავს დაეთია მარტოდ დარჩენილ საქართველოს, მატიანიდან ცნობილია. თამარია დამნაშავე იმაში, რომ მისგან ასე აღზევებული და გაძლიერებული ათაბაგები განუდგნენ ტახტს, მესხეთ-ჯავახეთი თურქმა წაიღო და მისი იყო, სანამ რუსმა არ დაუბრუნა საქართველოს. ეს მესხები თურქული წარმოშობის გაქართველებული ტომი იყო, რომელიც შემდეგ ისევ გათურქდა. თემურლენგის გამანადგურებელი ლაშქრობების შემდეგ ქართულ-თურქული წარმოშობის მესხები ერთიანად გამუსულმანდნენ და ქართლის მტრებად იქცნენ. რა მესიანიზმია ის, როცა თამარი სამების მეოთხე



ჰიპოსტასად შეირაცხა და მისი ძე ქრისტეს სწორად? ამის გამო რჯულთამებრ საუკუნო წყევლა ეგების. საქართველოს ყველა ეკლესიაში მე ვეძებდი და ვერსად ვიპოვე ცნობა იმაზე, იცოდნენ თუ არა ბიზანტიელებმა ქართველთა სამეფო კარის, ამ გაბუდაყებული დედაკაცის ეს არნახული გულზვაობა ქრისტიანობის ისტორიაში? იესუს დედის სწორი კი არა, არამედ სამების მეოთხე წევრი ხარ? შენი შლეგი ნაშიერი კი იესუს სწორად შეირაცხა? ან კათოლიკე მისიონერებმა თუ თქვეს რაღაც ამაზე? თამარმა და მისმა შვილებმა დაღუპეს დავით აღმაშენებლის ფუძეყრილი საქმე ქართველთა იმპერიისა. ლაშაგიორგის როდესმე გახსენებია ეს მესიანიზმი თუ რუსუდანს? თამარის შვილებზე უარესი მეფეები მერე მოვიდნენ. ქართველი მეფეების ბრალით იყო თემურ-ლენგის რვა ლაშქრობა ქართლში და ამის შემდეგ კიდევ თურქული სასულთნოების დანასისხლად გადაკიდება 1400-იანი წლების დასაწყისში. დღემდე აჩნია ქართლს მაშინდელი წყლულები, დღემდე იმკის ქართლი თემურ-ლენგის გამაჩანაგებელი ლაშქრობების შედეგს. წელში გადატეხა თემურმა ქართველთა მოდგმა. მას კიდევ დიდსულოვნება ჰქონდა, თორემ გააქრობდა ქართლს. ომის ღმერთი და დიდად ყისმათიანი კაცი იყო თემურ-შაჰი. ევროპის მეფენი ძრწოდნენ მისი მორჭმულების წინაშე და ულიქნიდნენ, რომ ევროპაში არ შეჭრილიყო იგი. მისი დროის საქართველოში არც არავისგან არ ყოფილა შეცნობილი თემურ-შაჰის მორჭმულება და სპარაზენობა.

ქართველთა მესიანიზმზე რაც დღეს იწერება, არის რიოშობა. აქ, გამსახურდიას ჯიბრით, 1992–99 წლებში დიდი გულმოდგინებით ტალახს შერიეს ქართველებმა იოანე-ზოსიმედან მომდინარე და გამსახურდიას მიერ აზმიანებული მესიანისტური ქართული იდეა. დღეს, როცა ისევ ისე მესიანისტობენ ლიბერალ-კაპიტალისტი ქართველები, ვითომც არაფერი, ეს ნიშნავს, რომ უსინდისობასა და იდიოტობასთან გვაქვს საქმე ერთდროულად. ასეთი რამ ითქმის: „ქართველი ერი ანტიქრისტიანულ გლობალისტურ სივრცეში მაინც ასრულებს თავის სულიერ მისიას“. მსგავსი წამოყვირებები სამი ძახილის ნიშნით ან მრავალწერტილით მთავრდება ხოლმე. არაა საქართველოში შექმნილი მესიანისტური სწავლება და ტყვილად ჩემულობენ ამას ქართველნი. ჯიბრიანი ლაპარაკი, რომ „ გიორგი I აღარ იცვამდა ბიზანტიის იმპერატორისაგან ნაბოძებ



სამეფო წითელ წაღებს, რადგან ეს აღიქმებოდა მორჩილებისა და მეხარკეობის ნიშნად“. დააზუსტონ, რა მორჩილებასა და მეხარკეობაში მყოფი იყო მეფე გიორგი (1014–27)? ამას არ ამბობენ. უნდათ წარმოაჩინონ, რომ ბიზანტიას ურმებით გაჰქონდა ქართლიდან ხარკი და დაყათრული ბერძნები უნამუსოდ იარებოდნენ. რა ბიზანტიელი და რა ყიზილბაში, არა? ეს უნდათ თქვან, რომ ეგრე ჩაგრავდა ბიზანტიელი ქართველს, რომ საწყალი ჩაგრული თურქთანღა გარბოდა და თან მესიანისტობას ჩემულობდა. სულ ასეა. დიდი და მცირე ერთურთისაგან ვერ გაურჩევია ქართველს და ოღონდ სხვებზე ძვირი თქვას, ოღონდ სხვები გაქირდოს და ღვარძლი სთესოს თავის წიგნებში. ქართველმა მხოლოდ საქოლავი აუგოს ვინმეს და განა დაფიქრდება, ამას რა მოჰყვება. ისე წერენ, რომ ვითომ დიდ რაღაცას მიმხვდარან და ხვითო უპოვიათ. თაობები მოწამლა ამ ეთნონარცისიზმმა.

აკაკი ბაქრაძემ, ვინც სულ ჩხრეკდა საქართველოს უბედურ წარსულს და მის ორიანტაციაზე ცუდად მსჯელობდა, არ იკითხა: ევროპასთან დაახლოებით საქართველო როგორ აიცილებდა ნეოკოლონიალისტურ მოპყრობას? ჟორდანიას დროს როგორ მოექცა ევროპა საქართველოს, ეს ბაქრაძეს ეცოდინებოდა. ამ კითხვების დაყენება გააცამტვერებდა ბაქრაძისეულ ევროპულ ორიენტაციას. ბაქრაძისგან შეიქმნა ერთობ დამტკბარი მოჩვენება და მას გაუჩნდა მრავალი ეპიგონი, რომელნიც საქართველოს ევროპულობაზე ლაპარაკით საშოვარზე გამოსულან. ბაქრაძისა და მისი ეპიგონების დავთარში რომ ბევრი სიმცდარე სწერია, ამას საფუძვლიანი გაბათილება სჭირია. ეს კი ნაკლებადაა ქართულ ისტორიოგრაფიაში. დიდად უჭირდა ბაქრაძეს ისტორიის მოვლენებში გარკვევა. იგი ფაქტების სიმრავლიდან იღებდა ორ-სამ ფაქტს და მათზე დაყრდნობით მცდარად განაზოგადებდა. ასე დაამკვიდრა მან აზრი, რომ ბიზანტიის დროსვე საქართველოში ევროპას ესწორებოდნენ. უნახავს ვინმეს, რომ შეყრილიყვნენ ქართლის მუდმივი ჭირით დაბრძენებული ქართველი მეისტორიენი და ფილოსოფოსნი, რათა ემსჯელათ ქვეყნის ორიენტაციაზე ისე, როგორც ეს ჰხამს? როდესმე ნახულა 90-იანი წლების ბოლოს, როცა ყველაფერი თავისი ნამდვილი სახით წარმოსდგა ქართლოსიანთა წინაშე, რომ აკაკი ბაქრაძე, ნოდარ ნათაძე და სხვები, ვინც ქვეყნის ბელადებად მიიჩნეოდნენ 90-იანების დასაწყისში, შეყრილიყვნენ და განესაჯათ ამდენი უბედურება?

ეთქვა ბარემ ბაქრაძეს, რომ არ გვინდა ეს ბიზანტიური მემკვიდრეობა, მართლმადიდებლობა და კათოლიციზმს ან კალვინიზმს შეუდგეს საქართველო. აი ეს შეფარული აზრი გამოსჭვივის ბაქრაძის ამ წინასიტყვაობიდან. რომც ეცვალა რჯული ქართველობას, განა ისევ ის ტაკიმასხარა და ამ ცხოვრების ბითური არ იქნებოდა? რჯულის შეცვლაზე აზრი გამოითქვა შევარდნაძის პრეზიდენტობის დროს მის გარემოცვაში, რათა უფრო დაახლოვებოდნენ დასავლეთს. გვიანდელი ბაქრაძე ხომ ხედავდა, რომ ევროპული ორიენტაცია ქვეყანას თავზე გადასდიოდა და რა სიკეთეს ეწია ამით ქართლი? ბაქრაძე მოესწრო იმას, თუ როგორ მოექცა დასავლეთი საქართველოს და დაამკვიდრა ნეოკოლონიალიზმი. მან ვერსად ვერ ამოიღო ამაზე ხმა. ჯერ ერთი, რომ ვერ გაბედა და მეორე ის, რომ მას არ ჰქონდა საამისო ცოდნა და არგუმენტაციას ვერ ქმნიდა. კომუნისტებთან მოდავე ბაქრაძე ბუმბერაზად ჩანდა და საბჭოეთის დაშლამ ის ლანდად და ბლუჩუყუნა ლიბერალად აქცია. პლურალიზმის დამკვიდრებამ ქვეყანას დაანახა, რომ ბაქრაძემ ვერ ივარგა მოაზროვნედ და მისი სახელი პარაზიტირებდა ბოლშევიკურ ცენზურაზე. ეს ცენზურა აჩენდა მას და სახელს სძენდა, რომ ილია ჭავჭავაძეზე რაღაც ადგილები ამოუჭრეს კომუნისტებმა, მას საჯარო ლექციის წაკითხვა დაუშალეს და მისთანანი. ცენზურის მოშლამ შეუვალად დაადასტურა ბაქრაძის უღონობა და ინტელექტუალური სიმწირე. ბაქრაძემ დაინახა ეროვნული მოძრაობის ეფემერულობა, სიკვდილი და მისი განახლების შეუძლებლობა. მან არ დაარისხა განგაშის ზარი, რადგან ამისი თავი არ ჰქონდა. მარქსიზმ-ლენინიზმის კრიტიკოსი ბაქრაძე დამთავრდა საბჭოთა სისტემის დამთავრებასთან ერთად.

(იბეჭდება შემოკლებით)

# ჰიპნოზის მისტიკური სამყარო

შთაგონებას ფხიზელ თუ ჰიპნოტურ მდგომარეობაში ყოველთვის იყენებდნენ არამარტო შამანები და ქურუმები, არამედ ბელადები, მხედართმთავრები, მკურნალები თუ მისტიფიკატორები. იყენებდნენ სხვადასხვა მიზნით, მათ შორის – ავადმყოფის გამოჯანმრთელებისთვისაც.

ჩვენ წელთაღრიცხვამდე XVI საუკუნით დათარიღებულ ებერსის პაპირუსში ცხრაასამდე სამკურნალო საშუალებაა აღწერილი. მათ შორის დიდი ადგილი უკავია შელოცვებს, „რომლებიც უნდა წარმოითქვას მკაფიოდ და, რაც შეიძლება, ხშირად დაავადებულ ადგილზე წამლის დადებასთან ერთად“. ტექსტში ხაზგასმულია, რომ ყველა მკურნალობას თან უნდა ახლდეს შელოცვები. შელოცვის დროს მკურნალი ღვთაებას ან სულს მიმართავს. როგორც დაავადების გააზრებით, ისე მასზე ზემოქმედებით, ეს მოდელი შამანური მედიცინის ნიშნებს ატარებს. მიდგომაც, რომ წამალთან ერთად სიტყვაც საჭიროა, ძველი მედიცინის საერთო პრინციპია. ბერძნულ



ფრანც ანტონ მესმერი

ტაძარში, რომელიც აგებული იყო მკურნალი ღმერთის ასკლეპიის პატივსაცემად, იყო სპეციალური ოთახი – აბატონი. რელიგიური რიტუალების შემდეგ ადამიანები შედიოდნენ აბატონში, ხელოვნური ძილით (ჰიპნოზით) იძინებდნენ და ძილში ესმოდათ „ასკლეპიის ხმა“, რაც განკურნებას იწვევდა. ტრანსის გამოყენებას სამკურნალო მიზნით ხშირად ვხვდებით ანტიკურ და ევროპულ წარმართულ კულტურებში.

ევროპელების მიერ შთაგონების გაცნობიერება და მასში ბუნებრივი კანონების ძიება უკავშირდება **ფრანც ანტონ მესმერის** სახელს, რომელიც 1734 წელს ავსტრიაში დაიბადა. ახალგაზრდობაში ძალზე მორიდებულმა ადამიანმა მდიდარი ცოლის შერთვის შემდეგ ხელგაშლილი და მრავალფეროვანი ცხოვრება დაიწყო. იგი გატაცებული იყო მუსიკით, მეცნიერებებით, მედიცინით. ენციკლოპედიურ განათლებასთან ერთად სამი დიპლომი ჰქონდა – მედიცინის, სამართლის და ფილოსოფიის დოქტორის. 1766 წელს გახდა ვენის უნივერსიტეტის დოქტორი დისერტაციისთვის „ვარსკვლავებისა და პლანეტების, როგორც მკურნალი ძალების გავლენის შესახებ“.

მესმერი პრაქტიკოსი ექიმიც იყო. ისევე, როგორც პარაცელსი, იგი მკურნალობისთვის იყენებდა მაგნიტს. მესმერი სხეულის გასწვრივ უტარებდა მაგნიტს პაციენტებს. შედეგად, მათ ისტერიული შეტევა ეწყებოდათ, რაც ძილით თავდებოდა. ძილის შემდეგ პაციენტები განკურნებული იღვიძებდნენ. მოგვიანებით მესმერმა შეამჩნია, რომ მაგნიტის ანალოგიურ შედეგს იძლეოდა მხოლოდ მისი ხელის გატარება სხეულის გასწვრივ რამოდენიმეჯერ („პასები“). მესმერის მეთოდი პოპულარული გახდა მთელ ევროპაში, მისკენ დაიძრნენ პაციენტები სხვადასხვა ქვეყნიდან. მესმერის თავბრუდამხვევი წარმატების მქონე პრაქტიკა ეფუძნებოდა მესმერის იდეას, რომ მაგნიტურ ძალას ფლობს მისი სხეული. მესმერი მიიჩნევდა, რომ ავადმყოფობა პაციენტის სხეულში ფლუიდების არათანაბარი გადანაწილების შედეგია, რაც უნდა გააწონასწოროს მკურნალობამ, კერძოდ – „ცხოველური მაგნეტიზმის“ დიდი კონცენტრაციის მქონე მაგნეტიზიორმა პასებით უნდა მოახდინოს პაციენტის სხეულში მაგნიტური ფლუიდების იმგვარი ჰარმონიული გადანაწილება, როგორიც არის მთელ სამყაროში.

მესმერმა თავის კონცეფცია 1774 წელს წარუდგინა საფრანგეთის აკ-



შარლ ლაფონტენი

ადემიის და სამეფო სამედიცინო საზოგადოების გაერთიანებულ კომისიას, რომელშიც მონაწილეობდნენ ლავუაზიე, ფრანკლინი, ბაილი და იმ დროის სხვა ცნობილი მეცნიერები. კომისიამ იმდროინდელი აპარატურით ეძება მაგნეტიზმი მესმერში და როცა მისი კვალიც კი ვერ იპოვნა, მესმერი გამოაცხადა შარლატანად, ხოლო მიღებული თერაპიული შედეგები მიაწერა მხოლოდ... პაციენტის წარმოსახვას. ეს, ფაქტიურად, იყო ფსიქოთერაპიული ეფექტის პირველი ფსიქოლოგიური ახსნა. კომისიის მკაცრმა კრიტიკამ მოგვიანებით გავლენა მოახდინა საზოგადოებაზეც, რომელმაც გარიყა მესმერი. იგი შვეიცარიაში მარტოობასა და სიღარიბეში გარდაიცვალა 1815 წელს.

მესმერის შემდეგ მესმერიზმს აგრძელებდა მის მიმდევართა მცირე ჯგუფი. ერთერთი მათგანი იყო **შოსტენიე დე პიუსეგიური**, რომელმაც 1818 წელს აღმოაჩინა მესმერული ტრანსის ღრმა, კერძოდ, სომნამბულური სტადია. მანვე აღმოაჩინა, რომ ტრანსს იწვევს არამარტო შეხება, არამედ სიტყვაც, შთაგონებაც, რაც უკვე ველარ თავსდებოდა მესმერიზმის თეორიაში.

მესმერის მიმდევრებს შორის იყო **შარლ ლაფონტენიც**, ცნობილი მეიგავეს შვილი. ის ხშირად მართავდა მაგნიტურ სეანსებს ელიტარული საზოგადოების სალონურ შეკრებებზე (ეს სეანსები, რომლის მიზანი იყო შეუცნობელის შემეცნება, ექსპერიმენტული ჰიპნოზის ჩანასახად შეიძლება მივიჩნიოთ). ერთერთ ამგვარ სეანსს დაესწრო ინგლისელი ქირურგი **ჯეიმს ბრეიდი**. ტკივილგამაყუჩებლები ჯერ არ იყო აღმოჩენილი, რაც სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა ქირურგიას.

ამ ფონზე დაინტერესდა ჯ. ბრეიდი (1795–1860) მესმერული ტრანსით, მისი ანესთეზიური და თერაპიული ეფექტებით. 1843 წელს ბრეიდმა გამოსცა წიგნი „ნეიროჰიპნოლოგია“. მესმერული ტრანსის აღსანიშნად ბრეიდმა შემოიტანა ცნება „ჰიპნოზი“, რაც ბერძნულად ძილს ნიშნავს. ბრეიდი ჰიპნოზს იყენებდა ისტერიული დამბლის თუ გულყრის პირობებშიც. კონცეფციის გარდა ბრეიდმა სიახლე შემოიტანა ჰიპნოტიზაციის მეთოდშიც – პაციენტებს აძინებდა თვალის ფიქსაციით რაიმე ბრჭყვიალა წერტილზე. ბრეიდმა ერთერთმა პირველმა შეამჩნია, რომ ადამიანები განსხვავდებიან მგრძნობელობით ჰიპნოტიზაციის მიმართ – ჰიპნაბელურობით; შეამჩნია ისიც, რომ ჰიპნოზის სიღრმე



ჯეიმს ბრეიდი

სხვადასხვანაირია როგორც სხვადასხვა ადამიანთან, ასევე – ერთ ადამიანთან ერთი სეანსის განმავლობაში.

XIX საუკუნის 70-იანი წლებში ცნობილი ნევროპათოლოგი და ფსიქიატრი **ჟან მარტენ შარკო** შეიყვანეს კომისიაში, რომელსაც უნდა შეემოწმებინა მეტალოთერაპიის ეფექტურობა ტრანსის პირობებში. კომისიაში მუშაობის დროს შარკო დაინტერესდა ჰიპნოზის ფენომენით, რადგან ნახა, რომ ისტერიის მრავალი სიმპტომის პროვოცირებაც და მოხსნაც შეიძლება ჰიპნოზში. ამის გამო შარკოს მიაჩნდა, რომ ჰიპნოზი ხელოვნურად გამოწვეული ისტერიული ნევროზია. „მსგავსის მსგავსით“ დაძლევის პრინციპით პარიზის სალპეტრიერის კლინიკაში შარკომ დაიწყო ისტერიით დაავადებულებთან ჰიპნოზის გამოყენება.



პარიზის კლინიკაში ჰიპნოზით შარკოს დაინტერესების პარალელურად ჰიპნოზის მიმართ ინტერესი ჩნდება საფრანგეთის მეორე ქალაქში – ნანსში. ნანსის უნივერსიტეტის თერაპიული კლინიკის ხელმძღვანელს **იპოლიტ ბერნჰეიმს** მიაჩნდა, რომ ჰიპნოზი არის პაციენტის მიერ ჰიპნოტიზიორის შთაგონების უკრიტიკოდ მიღების შედეგი. ნანსელების ფორმულა იყო: „ჰიპნოზი არ არსებობს, არსებობს მხოლოდ შთაგონება“. ამ პოზიციიდან გამომდინარეობდა, რომ ჰიპნოზი ადამიანის ნორმალური ფსიქიკური მექანიზმების მოქმედების შედეგია და არაა მართებული მისი განხილვა ხელოვნურ ნევროზად.

1889 წელს. კონგრესზე დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ნანსის სკოლამ, ანუ ჰიპნოზის გაიგივებამ შთაგონებასთან. აღნიშნულმა პროცესებმა ინგლისსა და საფრანგეთის გარდა სხვა ქვეყნებშიც გააღვივა ჰიპნოზის მიმართ ინტერესი. შვედმა **ოტო ვეტერსტრანდმა** გამოაქვეყნა წიგნი „ჰიპნოტიზმი და მისი გამოყენება მედიცინაში“, სადაც განხილულია სომატურ დაავადებათა (გულის და კუჭის დაავადებები, ასტმა) ჰიპნოზით მკურნალობის საკითხები და პირველად არის განხილული ქრონიკული ალკოჰოლოზმის მკურნალობის პერსპექტივა.

ჰიპნოზის შესწავლასა და გამოყენებაში დიდი წვლილი შეიტანეს რუსმა ფიზიოლოგებმა **ვ. ბეხტერევმა** და **ი. პავლოვმა**. 1955 წელს ბრიტანეთის სამედიცინო ასოციაციის გადაწყვეტილებით ინგლისში მოხდა ჰიპნოზის სრული რეაბილიტაცია. ამავე წელს საფრანგეთში გამოიცა მედიკო-ქირურგიული ენციკლოპედია, სადაც ჰიპნოზს ცალკე თავი მიეძღვნა. 1958 წელს ამერიკის სამედიცინო ასოციაციამ ოფიციალურად ჩართო ჰიპნოზი სამედიცინო თერაპიაში. 1965 წელს პარიზში ჩატარდა ჰიპნოზის III საერთაშორისო კონგრესი. მიუხედავად ამ ნაბიჯებისა სამედიცინო პრაქტიკაში დღეს ჰიპნოზს მაინც გაცილებით იშვიათად იყენებენ, ვიდრე იყენებდნენ მის “ოქროს ხანაში“ – შარკოსა და ბერნჰეიმის დროს. ბოლო ხანებში ფართოვდება ჰიპნოთერაპიის ჩვენების დიაპაზონი სომატური დაავადებების დროს. ის საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა ჰიპერტონიული დაავადების, ბრონქიალური ასტმის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის, სხვადასხვა ალერგიული მდგომარეობების დასაწყის ეტაპზე.

ჰიპნოტური ანესთეზიით პირველი ოპერაცია (მკერდის ავთვისებიანი სიმსივნის მოცილება) 1829 წელს ჩაატარა ფრანგმა ქირურგმა კლოკემ. როგორც ქირურგი იუწყება, მთელი ოპერაციის განმავლობაში პაციენტი მშვიდად ესაუბრებოდა მას და არ ამჟღავნებდა იმის ნიშნებს, რომ გრძნობდა ტკივილს. მას შემდეგ ჰიპნოზის ქვეშ ათასზე მეტი ოპერაცია ჩატარდა, მათ შორის გულზეც.



ცნობილია ფაქტი, რომელშიც თვალსაჩინოდ მტკიცდება ფსიქოსომატური კავშირის არსებობა. ეს ფაქტი ფაკირების საჯარო წარმოდგენებიდან გახმაურდა. ფაკირი ქალს აძინებს, შემდეგ შთააგონებს, რომ მკლავზე დაადებს გახურებულ მონეტას. ფაკირი ადებს ქალს ცივ მონეტას და ქალს კანზე უჩნდება დამწვრობა, რომლის ფორმა მონეტას ემთხვევა. შარკოს კლინიკაში უფრო ჰუმანიური ვარიანტი იყო გავრცელებული. ჰიპნოტიზირებულ ცდის პირს შთააგონებდნენ, რომ დაადებენ მდოგვის საფენს. რეალურად მძინარეს ადებენ სველ ქაღალდს. ქაღალდის აღების შემდეგ კანზე ჩნდებოდა იმ ტიპის სიწითლე და დამწვრობა, რომელიც, ჩვეულებრივ ჩნდება მდოგვის საფენის ხანგრძლივი მოქმედებით. ყველა მათგანი მიუთითებს, რომ სომატური პროცესები დაკავშირებული არის ფსიქიკასთან (თანაც, არაცნობიერ ფსიქიკასთან) და იმართება მის მიერ.

აღნიშნული ფაქტები ამყარებენ იმის საფუძველს, რომ დაისვას კითხვა – რა არის „მე“-ს ამჟამინდელი განცდა, რეალური “მე“ არის, თუ სხვა პიროვნებასთან ან საკუთარი წარსულის რომელიმე ეტაპთან იდენტიფიკაციის შედეგი? ამ კითხვებმა ცენტრალური ადგილი დაიკავა ფსიქოთერაპიის იმ პარადიგმებში, რომლებიც ჰიპნოზის პარადიგმის შემდეგ შეიქმნა.

**მარიამ ჯანჯღავა**
511 17 73 72

# სიყვარული, როგორც ნარკოტიკი...

**ჩვენ მიჩვეულნი ვართ, რომ წიგნებში, სიმღერებში, ლექსებში, მხატვრულ ფილმებში ნამდვილ სიყვარულს უმღერიან. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ამ ნაწარმოებებში, ძირითადად, სიყვარულს კი არა, სიყვარულზე „დამოკიდებულებას“ უმღერიან — მძიმე დაავადებას, რომელიც ხშირად ანგრევს ადამიანის პიროვნებას და მას ცხოვრებით ტკბობის საშუალებას ართმევს...**

თუ სიყვარული ტანჯვას განიჭებთ, ცხოვრებას გინგრევთ და პრობლემებს გიქმნით — ეს სიყვარული კი არა, მძიმე დაავადებაა — სიყვარულზე „დამოკიდებულება“, რომლისგანაც თავის დასაღწევად ისევე უნდა იმკურნალოთ, როგორც ნარკომანიისგან ან ალკოჰოლიზმისგან. ის ადამიანი, რომლის მიმართაც ეს ავადმყოფური გრძნობა გაგაჩნიათ, ნარკოტიკი ხდება. მის გარეშე სიცოცხლეც არ გინდათ. გეწყებათ ე.წ. „ლომკები“, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით — გინდათ, რომ ის მუდამ თქვენს გვერდით იყოს. ხოლო თუ „ნარკოტიკი“ „ნარკომანს“ გაურბის, ეს „ლომკები“ იმდენად მტკივნეული ხდება, რომ დაავადებულმა შეიძლება თავიც კი მოიკლას.

„დამოკიდებული“ ადამიანი არ მისცემს არავის უფლებას, დაამცირონ, აწყენინონ, არ გაითვალისწინონ მისი ინტერესები და არ დაინტერესდნენ მისი პრობლემებით. „დამოკიდებული“ ადამიანებისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. ისინი ქმნიან კუმირს. მათ ფანტაზიებში სიყვარულის ობიექტი რეალურისგან ბევრად განსხვავდება. მასზე გადადის ყველა გრძნობა, მისი სახება იდეალური ხდება, უარყოფით თვისებებზე თვალს ხუჭავენ, ხოლო ღირსებები კი გამოგონილია.

„დამოკიდებული“ იგონებს რომ ის უყვართ, პარტნიორის საქციელის გამართლებას პოულობს მაშინაც კი, თუ მის მიმართ არავითარ ყურადღებას არ იჩენენ და გაურბიან კიდეც. იგი ყოველთვის წინააღმდეგობას ეჯახება, რის გამოც იმდენად სიყვარულის მიზეზი საკუთარი თავისადმი უბედური სიყვარულია“.

საინტერესოა, რომ სტაბილური და მყარი ურთიერთობები მათ ერთფეროვანი, ჯანმრთელი და სრულფასოვანი ადამიანები კი — მოსაწყენებად მიაჩნიათ. ეს იმიტომ ხდება, რომ მათ არ იციან, როგორი უნდა იყოს ნორმალური ურთიერთობები ჯანსაღ ადამიანთან. მათთვის სიყვარული ტანჯვის სინონიმია და სიყვარულის ობიექტად ისეთ ადამიანს ირჩევენ, ვისაც თავად აქვს პრობლემები.

უნდა ითქვას, რომ „დამოკიდებულებისგან“ თავის დაღწევა სულაც არ ნიშნავს მასთან დაშორებას, ვინც თქვენი „ნარკოტიკი“ გახდა. შეიძლება ურთიერთობების მოწესრიგება,



ცრემლები, განშორება, ისტერიკები... ჩვენთვის ეს სიტყვები უკვე დიდი ხანია, სიყვარულის სინონიმებად იქცა, თუმცა, სინამდვილეში, მათ სიყვარულთან არავითარი კავშირი არა აქვთ — ეს ყველაფერი სიყვარულზე „დამოკიდებულებაა“...

როგორ უნდა მიხვდეთ, ნამდვილად გიყვართ თუ „დამოკიდებული“ ხართ? ამერიკელი ფსიქოთერაპევტის რობინ ნორვუდის წიგნში „ქალები, რომლებსაც ძალიან ძლიერ უყვართ“, სიყვარულზე „დამოკიდებული“ ადამიანების ასეთ ახსნას შეხვდებით:

„ფსიქიკურად ჯანსაღი ადამიანი ძლიერ იტანჯება, რომ სიცოცხლის გაგრძელებისთვის ძლივს პოულობს ძალებს“.

რატომ ჩნდება სიყვარულზე „დამოკიდებულება“? ვის შეიძლება ეს უცნაური დაავადება დაემართოს? ნორვუდის მტკიცებით, ყველა „დამოკიდებულ“ ქალს ბავშვობაში სითბო და ალერსი აკლდა. მშობლების სიცივის გამო გოგონებმა ვერ შეიყვარეს საკუთარი თავი. ქალებისთვის სიყვარული ბედნიერების სინონიმია და პარტნიორისგან უნდათ იმის მიღება, რაც ბავშვობაში აკლდათ... ერთი ფსიქოლოგის თქმით: „სხვის მიმართ უბედურის



თუ თქვენი პარტნიორისთვის ძვირფასი ხართ და მზად არის ცვლილებებისთვის. მაგრამ თუ მუდმივად ტკივილს გაყენებთ, მაშინ უნდა დაშორდეთ, რადგან თქვენი ცხოვრება ჯოჯოხეთად გადაიქცევა.

არსებობს ბევრი სერიოზული რეკომენდაცია ამ „დამოკიდებულებისგან“ თავის დასაღწევად. პირველ რიგში, უნდა გაიაზროთ, რომ ეს სულაც არ არის სიყვარული და მისგან უნდა განიკურნოთ. ამისთვის კვალიფიციურ ექიმს უნდა მიმართოთ, რადგან მეგობრების რჩევები თქვენი პრობლემების გადაჭრაში ვერ დაგეხმარებათ.

ადამიანმა უნდა ისწავლოს საკუთარი თავის სიყვარული. ვინც საკუთარ თავში კარგ თვისებებს ეძებს, რაც სიყვარულისა და პატივისცემის ღირსია, ამაყობს საკუთარი თავით, ბევრი რამ აინტერესებს, იშვიათად ხდება ნებისმიერ რამეზე „დამოკიდებული“.

თუ თქვენ გრძნობთ, რომ ადამიანი, რომლის მიმართაც გრძნობა გაგაჩნიათ, თქვენი სიყვარულის ღირსი არ არის, სალად უნდა შეხედოთ მას და შეეცადოთ გაწყვიტოთ მასთან ურთიერთობა.

# თამაზ ნატროშვილის ხსოვნას



**ამა წლის 24 იანვარს გარდაიცვალა ისტორიკოსი, მეცნიერი, მწერალი, პუბლიცისტი, მთარგმნელი თამაზ ნატროშვილი. დაბადებული ქალაქ დედოფლისწყაროში.**

**მან 1960 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1961 წლიდან მუშაობდა გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში. პირველი მოთხრობა, „ხვალ დილი იქნება ხეობაში“, გამოაქვეყნა 1956 წელს. მოთხრობათა პირველი კრებული „გამოღვიძება“ – 1963 წელს.**

**თამაზ ნატროშვილს ეკუთვნის პროზაული კრებული „სიმაღლე“, მხატვრულ-ისტორიული ჟანრის წიგნი „მაშრიყით მაღრიბამდე“.**

**ეს გახლავთ მშრალი ინფორმაცია, მთავარი კი მის მიღმა იმალება და იმალება იმიტომ, რომ ბატონი თამაზი გვარიშვილობით გახლდათ ასეთი – თავმდაბალი, უპრეტენზიო, ჩუმად მშრომელი და ყველასთვის მისაღები პიროვნება. მე ნახევრად ნატროშვილი გახლავართ დედის მხრიდან და ვიცი, რასაც ვამბობ. ასეთი ხასიათი აქვთ ნატროშვილებს, უაღრესად ნიჭიერები არიან, მაგრამ ამავე დროს უპრეტენზიოებიც.**

**მე და ბატონ თამაზს გარდა გვარისა, სიმბოლურად კიდევ ერთი რამ გვაკავშირებდა – ის გახლდათ უაღრესად ნიჭიერი მწერლის, გიორგი ნატროშვილის ვაჟი, ხოლო მე გახლავართ მეორე მსოფლიო ომში დაკარგული გიორგი ნატროშვილის შვილიშვილი.**

**სამწუხაროდ, ბატონი თამაზი ვერ გავიცანი, ვერ მოვახერხე, კახელებს გვჭირს ეს სენი, ხშირად ვერ ვიცლით სანათესავოდ, რაც, თქმა უნდა, არის ცუდი, თანაც ძალიან ცუდი.**

**მადლობა, ბატონო თამაზ, რომ ამქვეყნად არსებობდით, იშრომეთ, იღვაწეთ, შესანიშნავი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვეთ და ასევე ჩუმად, უპრეტენზიოდ გარდაისახეთ იმ სამყაროში.**

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი სული.**

გელა ზედელაშვილი

**„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მწერალ**

**თამაზ ნატროშვილის**

**გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის მეუღლეს, ცნობილ მთარგმნელსა და პუბლიცისტს, ქალბატონ ქეთევან ტომარაძეს.**

„საერთო გაზეთი“

# ყველაზე საშინელი ტრადიციები მსოფლიოში





● რიტუალი სიმაღლიდან ხტომაში სოფელ ბენლუაზში ტარდება. იმ მომენტში, როცა მამაკაცები მზად არიან ხტომისთვის, სოფლის სხვა მაცხოვრებლები მღერიან და ცეკვავენ. მამაკაცებს ფეხები ხის ტყავისგან დამზადებული სპეციალური ღვედებით აქვთ შეკრული. ისინი მიიჩნევენ, რაც უფრო დიდი სიმაღლიდან გადმოხტებიან, მეტად იქნებიან დალოცვილი ღმერთებისგან.

● მზის ცეკვა ამერიკის ინდიელების ერთ-ერთი ტომის ტრადიციული რიტუალია. ცეკვა სრულდება თოკით, რომლითაც უზარმაზარ ხის ბოძზე ძუძუებით არის მიბმული მოცეკვავე. მოძრაობა სრულდება წინ და უკან, თან მოცეკვავის სხეული მიბმულია იმ ხის ბოძთან. ცეკვის დროს ადამიანი იმდენ სისხლს კარგავს, რომ რიტუალი ხშირად რამდენიმე მოცეკვავის სიკვდილით სრულდება.



● მიცვალებულებთან ცეკვა მადაგასკარში ერთ მიზანს ემსახურება – მიცვალებულის სულმა რაც შეიძლება მალე მიაღწიოს საიქიოში ნათელ ცხოვრებას. ამიტომაც მკვდარს გარდაცვალების შემდეგ სასწრაფოდ მარხავენ, რათა ორი წლის შემდეგ ამოთხარონ და მასთან ერთად იცეკვონ ღია საფლავის გარშემო. ხოლო შემდეგ საკუთარ მიცვალებულებს სხვა ადგილას მარხავენ. ასე აკეთებენ ყოველ 7 წელიწადში ერთხელ.

● ინდოეთში ერთ-ერთი ტომის წარმომადგენლები არხორი ბაბები, რომელთა სახელწოდება მათ ენაზე ღმერთის ბნელ მხარეს ნიშნავს, იმით არიან ცნობილნი, რომ მიცვალებულებს ჭამენ. მათ მიაჩნიათ, რომ თუ მიცვალებულს შეჭამენ, სიკვდილის შიში გაქრება. არხორები მიიჩნევენ, რომ არ შეიძლება გარდაცვლილი ორსულების, ბავშვების, წმინდანების, გაუთხოვარი ქალების და იმ ადამიანების კრემირება, რომლებიც გველის ნაკბენისგან გარდაიცვალნენ.

მათ მიაჩნიათ, რომ ადამიანი სულის სიმშვიდეს მაშინ მოიპოვებს, თუ მის გვამს ბოლომდე შეჭამენ.

გარდაცვლილებს მდინარე განგს აყოლებენ, შემდეგ კი გვამები გამოაქვთ მდინარიდან და ჭამენ.

● წმინდა თვის მუხარამის პერიოდში შიიტი ისლამისტები თვითგვემის რიტუალს ატარებენ. ამით ისინი აღნიშნავენ ჰუსეინის გარდაცვალების წმინდა ხსოვნას. რიტუალის დროს ადამიანები სხეულებს ისერავენ სამართებლით, რომელიც მათრახზეა მიმაგრებული. როგორც ამბობენ, ამ დროს მამაკაცები ტკივილს არ გრძნობენ, რადგან ისინი ერთგვარ რელიგიურ ტრანსში იმყოფებიან.

● ზეციური დაკრძალვა წმინდა რიტუალია ტიბეტში. ბუდისტები მიიჩნევენ, რომ არ არსებობს არავითარი აუცილებლობა გარდაცვალების შემდეგ მიცვალებულის დამარხვის, რადგან მისი ხელახლა დაბადება უნდა მოხდეს.

მიცვალებულების სხეულებს მინდორში მტაცებელ ფრინველებს უტოვებენ სხეული რაც შეიძლება მალე რომ გაქრეს, მას ჭრიან პატარ-პატარა ნაჭრებად, რომ ფრინველებს შეჭმა გაუადვილდეთ.

● აღმოსავლეთ აფრიკაში ყველაზე პოპულარულად ვუდუს მიმდევრობა ითვლება. დღესასწაულებზე ადამიანი იღებს განახლებულ სულს, რადგან მიიჩნევენ, რომ სული მთლიანად მოქმედებს სხეულზე, მათი აზრით, ვუდუს სული რიტუალიდან სამი დღის განმავლობაში ადამიანში იმყოფება.

● იანმარის ტომი ერთ-ერთ ყველაზე პრიმიტიულად ითვლება მსოფლიოში. ადგილობრივები მიიჩნევენ, რომ სიკვდილი არ არის ადამიანის ერთადერთი გამოვლინება, ამიტომ მიცვალებულებს წვავენ და ფერფლს ბანანებზე მოაბნევენ, რის შემდეგაც ჭამენ ამ ხილს.



საინტერესო ისაა, რომ ამ ტომების ბელადები არათუ გმობენ მსგავს რიტუალებს, არამედ პირიქით, ტომის ბელადი წყნარად განაგრძობს მათთან ერთად ცხოვრებას... სიკვდილამდე.

მალაიზიაში მიიჩნევენ, რომ ბოროტი ძალების განსადევნად და მამაკაცური ძალის გასაძლიერებლად ფეხშიშველებმა უნდა გაიარონ ცეცხლმოკიდებულ ნაკვერჩხალზე. ამ ცრურწმენის 1000-ზე მეტ მალაიზიელს სჯერა და მასიურად იღებენ ამ რიტუალში მონაწილეობას.

● მაგრამ ყველაზე საშინელი რიტუალი ყოველ წელს ტაილანდში იმართება. ფესტივალის მონაწილეები დანებს და სხვა ბასრ საგნებს ყბებში ირჭობენ, რადგან მიაჩნიათ, რომ ასეთი რიტუალის შემდეგ ღმერთები დალოცავენ, რაც, საბოლოო ჯამში, იხსნის მათ ბოროტებისაგან და მოუტანს წარმატებებს მომავალში.





მოამზადა
**ანა ვადაჭკორიამ**

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

**საერთო გაზეთი“**
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
გამომცემელი და მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
სარედაქციო კოლეგია: გელა ზედელაშვილი, ირანდა კალანდაძე (რედაქტორის მოადგილე), თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 593 56-11-18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99